ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 178 (20924) — ხუთშაბათი, 2 აგვისტო, 1990 წელი. — ფასი 3 კაპ.



სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა სკკპ XXVIII ყრილობის შედეგებთან და მისი გადაწყვეტილებების შესრულების ამოცანებთან დაკავშირებული საკითხები.

ამ საკითხზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებაში აღინიშნულია, რომ სკკპ XXVIII ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი საჭირო პირობებს უქმნის საზოგადოებრივი ძალების ფართო თანამოქმედებას გარდაქმნის საკითხებზე. ყრილობამ განსაზღვრა საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ყველა მთავარ სფეროში პარტიული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი. მან ხაზგასმით აღნიშნა პარტიის ერთგულება სოციალისტური არჩევნისა დ მ. ეკონომიკურ სფეროში ცენტრალური ამოცანაა გადასვლა რეგულირებად საბაზრო ურთიერთობაზე და მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავება.

ყრილობამ გამოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მტკიცე განზრახვა დაამთავროს პოლიტიკური რეფორმა, ყოველნაირად შეუწყოს ხელი სახალხო დეპუტატთა საბჭოებისათვის მთელი ძალაუფლების გადაცემის პროცესს. საბჭოების სრულუფლებიანობის მხარდაჭერა პარტიული კომიტეტების უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ამოცანად არის მიჩნეული. ისინი მოწოდებული არიან მოაგვარონ საბჭოებთან თანამოქმედება, ხელი შეუწყონ მათს ჩამოყალიბებას რეალური ხელისუფლების ორგანოებად, საბჭოების უსწრაფეს გადასვლას ეფექტიან ყოვლისმომცველ საქმიანობაზე.

ყრილობამ ცხადყო, ნათქვამია დადგენილებაში, რომ საბჭოდა კავშირის კომუნისტური პარტია რჩება ავანგარდულ პოლიტიკურ ძალად საზოგადოების განახლებისათვის ბრძოლაში, შეიმუშავა მთელი დემოკრატიული ძალების კონსოლიდაციის პრინციპები და გზები. მან მტკიცედ დაუჭირა მხარი დინამიკური საზოგადოებრივი პროცესებისაგან პარტიული ორგანიზაციების, პარტიული კომიტეტების ჩამორჩენის დაძლევას, ცოცხალი ყოველდღიური კავშირურთიერთობის დამყარებას შრომითს კოლექტივებთან. ყრილობამ დასახა ამოცანა შეუქმნან თითოეულ კომუნისტს პირობები მონაწილეობდეს პარტიის პოლიტიკის შემუშავებასა და რეალიზაციაში.

პოლიტბიურო აღნიშნავს, თუ რაოდენ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ყველა დონის პარტიული ორგანიზაციების საქმიანობისათვის ყრილობის დასკვნას, რომ საჭიროა განვითარდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თანამშრომლობა და თანამოქმედება ფართო წრის ახლად შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებთან და მოძრაობებთან, რომლებიც სოციალისტური არჩევნისა და დემოკრატიის პოზიციებზე დგანან.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური კურსი, რომელსაც სკკპ ყრილობამ დაუჭირა მხარი, შეესაბამება საბჭოთა ხალხის ძირეულ ინტერესებს, ხელშემწყობ პირობებს უქმნის საშინაო ამოცანების გადაწყვეტას. პარტიის თვალთახედვის არეში მუდამ უნდა იყოს სამხედრო პოლიტიკის საკითხები, ზრუნვა სამხედრო მოსამსახურეებსა და მათს ოჯახებზე. კარგახსნილობა, გულახდილობა და დიდი მომთხოვნელობა, რითაც ყრილობის მუშაობა გამოირჩეოდა, შეესაბამება პარტიაში ურთიერთობათა ახალ ხასიათს, და ისინი პარტიული ცხოვრების ნორმად უნდა იქცეს!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვნად მიაჩნია ის, რომ დაუყოვნებლივ გაიშალოს ყრილობის შედეგების ფართო პროპაგანდა, გაშუქდეს მისი დოკუმენტების პრინციპული მნიშვნელობა ქვეყანაში პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციისათვის. მუშებთან და კოლმეურნეებთან პროფკავშირებსა და სხვა მასობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მომუშავე კომუნისტების მონაწილეობით მიმდინარე გულახდილი საუბრების დროს ყველა დონის პარტიული კომიტეტები უნდა პოულობდნენ რეალისტურ გადაწყვეტებსა და პასუხს წამოჭრილ საკითხებზე.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები, ყველა პარტიული ორგანიზაცია, სკკპ წევრი სახალხო დეპუტატები მოწოდებული არიან პოლიტიკური მეთოდებისა და საკანონმდებლო ინიციატივის გამოყენებით მიაღწიონ ეროვნულ საკითხზე ყრილობის საპროგრამო ამოცანების რეალიზაციას, მუყაითად იმუშაონ ეროვნებათშორის ურთიერთობათა კულტურის დანერგვისათვის, გადაჭრით დაგმონ ყოველგვარი ფორმის ძალადობა.

ყრილობის მიერ მოცემული დავალების შესაბამისად მისი გადაწყვეტილებების პროპაგანდასა და განმარტებაში უნდა ჩავაბათ სკკპ XXVIII ყრილობის ყველა დელეგატი.

საჭიროდ არის მიჩნეული უზრუნველყოფილ იქნეს პოლიტბიუროს წევრების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებისა და წევრების სისტემატური გამოსვლები პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით, მათი გამგზავრება ადგილებზე, შეხვედრები შრომითს კოლექტივებსა და პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში.

მიღებულია გადაწყვეტილება 1990 წლის სექტემბერ-ოქტომბერში გაიმართოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც იმსჯელებს პარტიის XXVIII ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანებზე, კერძოდ განიხილავს წინადადებებს ცენტრალური კომიტეტის ახლად არჩეული შემადგენლობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა კომისიების საქმიანობის მეთოდებისა და ფორმების სრულყოფის თაობაზე.

დადგენილებაში პარტიული კომიტეტების განსაკუთრებული უურადღება ეპყრობა იმას, რომ საჭიროა ორგანიზებულად დამთავრდეს 1990 წლის ნოემბრამდე პარტიაში საარჩევნო-საარჩევნო კამპანია. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყრილობები და კონფერენციები ხელს უწყობდნენ პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის გარდაქმნას სკკპ ახალი წესდებისა და ყრილობის საპროგრამო განცხადების ბაზაზე, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში შინაპარტიული ცხოვრების ახალი დემოკრატიული ნორმების ნამდვილად დამკვიდრებას.

კომუნისტებს, რომლებიც მუშაობენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, სამეცნიერო დაწესებულებებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, დაევალათ გააძლიერონ ბაზარზე გადასვლასთან, მისი განხორციელების ეტაპებთან დაკავშირებული ახსნა-განმარტებითი მუშაობა, ეწრაფვოდნენ იმას, რომ ყოველი გაურკვეველი საკითხი საფუძვლიანად შუქდებოდეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წინაშე დასახულია ამოცანა მდიდაწყოს მუშაობა იმ რეზოლუციათა შესრულებისათვის, რომლებიც სკკპ XXVIII ყრილობამ მიიღო ეკონომიკური, აგრარული, ანალგაზრდული, სამხედრო პოლიტიკის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის, ეროვნებათაშორისი ურთიერთობის საკითხებზე, სკკპ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ. საჭიროდ არის მიჩნეული, რომ ამ დოკუმენტებში ჩამოყალიბებული ყრილობის პოზიცია ოფიციალურად ეცნობოთ შესაბამის სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოებს.

საჭიროდ არის მიჩნეული დაუყოვნებლივ დაიწყოს მუშაობა სკკპ ახალი პროგრამის მოსამზადებლად.

ცვლის მომზადება

ყველაზე მნიშვნელოვანია ოსტატისათვის — ასე მიაჩნია თბილისის ავიასამშენებლო გაერთიანების ამწყობ ზეინკალს ვახტანგ კუბლაშვილს.

მან თვითონ ცხოვრების რთული სკოლა გაიარა, და ახლა ორმოცდაათი წლისამ იცის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, როცა გვერდით გყავს უფროსი მეგობარი. როცა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის შემდეგ ვახტანგი პირველად მოხვდა საავიაციო ქარხანაში, ახსოვს, როგორ დაეხმარა მას რჩევითა და საქმით ოსტატი ლუარსაბ სახოკია.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი ვახტანგ კუბლაშვილი ამაყობს თავისი აღზრდილებით, ახალგაზრდა მუშებით. ახლა მრავალი მათგანი მონაწილეობს სამხედრო საწარმოში გაშლილ კონვერსიაში, უშვებს სახალხო მოხმარების დეფიციტურ საქონელს — საკბეთი და დასაკეც „ავერიის“ მარკის ველოსიპედებს, ალუმინის შიფერს და სხვას.

სურათზე: სერიოზული საუბარი მეგობრებთან.

სერგო ედიშერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მიფრინავს „სოიუზ ტმ-10“

საკდესის ცნობა

კოსმოსური სივრცის კვლევის პროგრამის შესაბამისად 1990 წლის 1 აგვისტოს მოსკოვის დროით 13 საათსა და 32 წუთზე გაშვებულია კოსმოსური ხომალდი „სოიუზ ტმ-10“, რომელსაც მართავს ეკიპაჟი ხომალდის მეთაურის გენადი მიხეილის ძე მანაკოვისა და ბორტინჟინერის — ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის გენადი მიხეილის ძე სტრეკალოვის შემადგენლობით.

3 აგვისტოსთვის დასახულია „სოიუზ ტმ-10“ ხომალდის შეპირაპირება „მირ“ პილოტირებულ კომპლექსთან. ერთობლივი ფრენის დროს შეიცვლებიან სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის მეექვსე ძირითადი ექსპედიციის კოსმონავტები სოლოვიოვი და ბალანდინი, რომლებიც დიდი ხანია დედამინისირგვლივ ორბიტაზე მუშაობენ.

„სოიუზ ტმ-10“ ხომალდის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს. კოსმონავტები მანაკოვი და სტრეკალოვი თავს კარგად გრძნობენ.

გენადი მიხეილის ძე მანაკოვი

გენადი მიხეილის ძე მანაკოვი დაიბადა 1950 წლის 1 ივნისს ორენბურგის ოლქის ანდრეევკის რაიონის სოფელ ეფიმოვკაში.

1973 წელს არმაგირის სპაერო თავდაცვის მფრინავთა უმაღლესი სამხედრო საავიაციო წითელდროშოვანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მსახურობდა სამხედრო-საჰაერო ძალებში. 1980 წლიდან გენადი მანაკოვი საგამომცემლო საქმიანობაზეა. აითვისა 40-ზე მეტი ტიპისა და მოდიფიკაციის საფრენი აპარატები. აქვს „პირველი კლასის სამხედრო მფრინავისა“ და „პირველი კლასის გამომცემელი მფრინავის“ კვალიფიკაცია.

გ. მ. მანაკოვი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია 1974 წლიდან.

1985 წელს ძირითად სამუშაოს მოუწყვეტლივ დაამთავრა მოსკოვის სერგო ორჯონიკიძის სახელობის საავიაციო ინსტიტუტი.

კოსმოსური ფრენისათვის მზადება დაიწყო 1985 წლიდან. გაიარა „სოიუზ ტმ“ ხომალდით და „მი“ ორბიტული სადგურით ფრენისათვის მზადების სრული კურსი.

გენადი მიხეილის ძე სტრეკალოვი

ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი გენადი მიხეილის ძე სტრეკალოვი დაიბადა 1940 წლის 28 ოქტომბერს მოსკოვის ოლქის ქალაქ მიტიშჩაში.

1965 წელს დაამთავრა მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ენერგიაში“. მუშაობის დროს თავი გამოიჩინა როგორც ინიციატივიანმა და ერუდირებულმა ინჟინერმა, მონაწილეობდა კოსმოსური აპარატების შემუშავებასა და გამოცდებში. გენადი სტრეკალოვი ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატია.

გ. მ. სტრეკალოვი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია 1972 წლიდან.

კოსმონავტთა რაზმში ჩარიცხეს 1973 წელს. განახორციელა სამი კოსმოსური ფრენა: პირველი — 1980 წელს, „სოიუზ ტ-3“ ხომალდითა და „სალუტ-6“ ორბიტული სადგურით. მეორე — 1983 წლის აპრილში „სოიუზ ტ-8“ ხომალდით, მესამე — 1984 წლის აპრილში საბჭოთა კავშირ-ინდოეთის საერთაშორისო ეკიპაჟის შემადგენლობაში. მინიჭებული აქვს „პირველი კლასის კოსმონავტის“ კვალიფიკაცია.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში

როგორც ვიცით, ა. წ. 26 ივლისიდან მთელი რიგი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებანი აწყობდნენ რკინიგზის ტრანსპორტის, აგრეთვე რესპუბლიკის ზოგიერთი საწარმოს ბლოკირების აქციებს. ცდილობდნენ დაირღვიათ ენერგომომარაგება, აეროპორტის ფუნქციონირება და სხვა.

მთელი ამ მოქმედების შედეგად გაჩერდა მატარებლების მიმოსვლა, და მგზავრები იძულებულნი გახდნენ დანიშნულების პუნქტებში ჩასულიყვნენ ავტობუსებით, თვითმფრინავებითა და კატარღებით.

გაუარესდა საწარმოთა მომარაგება ნედლეულით მაკომპლექტებელი ნაწარმით, ნავთობპროდუქტებით, რესპუბლიკის მოსახლეობას დაკლდა ათასობით ტონა სასურსათო და სამრეწველო საქონელი. სახალხო მეურნეობამ რამდენიმე მილიონი მანეთი იზარალა.

რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო კონფლიქტის პირველივე საათებიდან მიმართავდნენ აქტიურ ძალისხმევას, რათა დაეტეროთ წამოჭრილი დაძაბულობა, აღედგინათ საწარმოების და ტრანსპორტის ნორმალური მუშაობა, ენერგომომარაგება. შეიქმნა სპეციალური „საკრიზისო“ შტაბი, მინისტრთა საბჭოს, უწყება-სამინისტროების, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების აპარატები გადავიდნენ მუშაობის გაძლიერებულ რეჟიმზე. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში სისტემატურად ქვეყნდებოდა ცნობები უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მუშაობის შესახებ, მათი მიმართვები მოსახლეობისადმი და განცხადებები შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით.

აქციების ორგანიზატორებმა და მონაწილეებმა წამოაყენეს მოთხოვნები გადმოეტანათ უზენაესი საბჭოს სესიის გამართვის თარიღი 17-დან 7 აგვისტოს და გამოექვეყნებინათ პრესაში არჩევნების კანონის მხოლოდ ის პროექტი, რომელიც მათ შეიმუშავეს და ერთადერთ მისაღებ პროექტად მიიჩნიეთ.

ამასობაში კი მუშაობა სესიის მოსამზადებლად, აგრეთვე არჩევნების კანონის დასახვეწად მიმდინარეობდა და მიმდინარეობს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში ექსპერტთა, სპეციალისტთა, უზენაესი საბჭოს დეპუტატთა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციებისა და მოძრაობების წარმომადგენელთა დიდი ჯგუფის მონაწილეობით.

30 და 31 ივლისს იგი გაგრძელდა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის გივი გუმბარიძის ხელმძღვანელობით. კომისიის მუშაობის მონაწილეზოგიერთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანების წარმომადგენლებს დაწერილებით განუმარტეს დოკუმენტებზე მუშაობისა და გამოსაქვეყნებლად მათი მზადყოფნის მდგომარეობა, ამასთან ხაზგასმით აღინიშნა, რომ სესიის მოწყობის უმნიშვნელოვანესი პირობაა რესპუბლიკაში მშვიდი, საქმიანი, დემოკრატიული ვითარების შექმნა, რის მისაღწევადაც უნდა ვიღვაწოთ ულტიმატუმების, ძალისმიერი ხერხებისა და ხელისუფლების ორგანოებზე ზემოქმედების მეთოდების გარეშე, პოლიტიკური დიალოგისა და ურთიერთშეთანხმებული გადაწყვეტილებების გზით.

როგორც თავიდან იყო ნავარაუდევი, 1 აგვისტოს რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნდა არჩევნების კანონის სამი ალტერნატიული პროექტი, რომელთაგან ორი შემუშავდა უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში, ხოლო ერთი წამოაყენეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა გაერთიანებებმა. ამრიგად, რესპუბლიკის საზოგადოებრიობას მიეცა შესაძლებლობა და დრო, მშვიდად გაეცნოს პროექტის ვარიანტებს, განიხილოს ისინი კოლექტივებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, გადაწყდა, უცვლელი დარჩეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიის მოწყობის თარიღი — იგი 17 აგვისტოს გაიმართება. უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიზნაშეწონილად მიიჩნია, სესიის მუშაობის პერიოდში თავი შეიკავოს სსრ კავშირის პრეზიდენტის-იმ ბრძანებულების მოთხოვნების რეალიზაციისაგან, რომელიც უკანონოდ შენახული იარაღის ამოღებას ეხება.

1 აგვისტოს დილაადრიან თბილისსა და სამტრედიის რკინიგზის კვანძების ბლოკადა შეწყდა, პიკეტები მოიხსნა. ამიერკავკასიის მაგისტრალზე კვლავ იწყება მატარებლების მოძრაობა.

ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურატურა, აგრეთვე საქართველოს სსრ პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები იძიებენ მართლსაწინააღმდეგო მოქმედების ფაქტებს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს მიაჩნია, რომ სესიის წარმატებით გამართვას ხელს შეუწყობს უყოლესად მშვიდი, საქმიანი, დემოკრატიული ვითარება, და ერთხელ კიდევ მოუწოდებს ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაერთიანებასა და მოძრაობას გადაწყვიტონ რთული პრობლემები კოლეგიურად, კონსტრუქციული დიალოგისა და თანხმობის გზით.

დასასვენებლად წავიდა

30 ივლისს სსრ კავშირის პრეზიდენტი მ. ს. გორბაჩოვი დასასვენებლად წავიდა ყირიმში.

(საკდესი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

კრიზისული ვითარებიდან გამოსვლის მიზნით

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა საკითხი რესპუბლიკაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების აპარატების გაძლიერებულ საშუაო რეჟიმზე გადასვლის შესახებ. აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში უაღრესად დაიძაბა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, გართულდა ოპერატიული სიტუაცია, გაუარესდა საზოგადოებრივი მართლწესრიგის დაცვის მდგომარეობა, იზრდება სხვადასხვა სახის მძიმე ბოროტმოქმედებათა შემთხვევები, სულ უფრო ვრცელდება ორგანიზებული დანაშაულობა, რიგ ქალაქებსა და რაიონებში, ცალკეულ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში ვითარდება უმართავი პროცესები, ყოველივე ეს იწვევს სახალხო მეურნეობის დარგების ეფექტიანობის დაქვეითებას, კეკონომიკური კრიზისის გაღრმავებას, რაც ხელს უწყობს ცხოვრების დესტაბილიზაციის გამძაფრებას, უპასუხისმგებლობისა და განუკანონობის პირობების შექმნას, შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის მოშლას.

მიუხედავად განხორციელებული ღონისძიებებისა, მდგომარეობა კვლავ უცვლელი რჩება, რაც წარმოშობს მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებასა და სერიოზულ შეშფოთებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნილი კრიზისული ვითარებიდან გამოსვლისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სტაბილიზაციის, ეკონომიკური სიძნელეების დაძლევის, სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა ნორმალური ფუნქციონირების, მოსახლეობაში სიმშვიდის აღდგენისა და განმტკიცების, მართლწესრიგისა და კანონიერების განუხრელი დაცვის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილად მიიჩნია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების აპარატების გაძლიერებულ სამუშაო რეჟიმზე გადასვლა, მათი საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების ძირეული შეცვლა არსებული პირობების შესაბამისად.

საქართველოს სსრ სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელებს დაეკალთ პერსონალური პასუხისმგებლობით დაწესონ მათს აპარატებში სადღეღამისო მორიგეობა, შექმნან ოპერატიული სამუშაო ჯგუფები არსებული მდგომარეობის შესახებ სრული და ამომწურავი ინფორმაციის შესაგროვებლად, დასამუშავებლად, სათანადო გადაწყვეტილებათა მისაღებად და ადგილებზე უცილობლივ განსახორციელებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში შეიქმნა სამუშაო ჯგუფები, რომლებიც ორგანიზაციას გაუწევენ: მართლწესრიგის და კანონიერების დაცვისა და განმტკიცებისათვის მუშაობას, სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის ნავთობპროდუქტებითა და ელექტროენერგიით შეუფერხებელ მომარაგებას, ტრანსპორტის დარგების რიტმულ მუშაობას, მოსავლის უდანაკარგოდ აღებას, მრეწველობის დარგების ეფექტიან მუშაობას, სამშენებლო კომპლექსის მუშაობის სრულყოფას, სახალხო მეურნეობის ფინანსური ვითარების რეგულირებას, მოსახლეობის შეუფერხებელ მომარაგებას სურსათით, ეკოლოგიური და სტიქიური უბედურებებით გამოწვეული საგანგებო სიტუაციის რეგულირებასა და შედეგების დროულ ლიკვიდაციას, დგინობრივი საბჭოთა ორგანოების მუშაობას და შექმნილი სიტუაციის შესახებ მოსახლეობის სისტემატურ ინფორმირებას.

სამუშაო ჯგუფებს ევალებათ უზრუნველყონ არსებული მდგომარეობის ამსახველი ინფორმაციის ოპერატიული ანალიზი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების განმუხტვის, ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის საჭიროო წინადადებათა და გადაწყვეტილებათა მომზადება, შემუშავებულ ღონისძიებათა შესრულების კონტროლი.

(საქინფორმი).

დაძნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის შტაბი

საქართველოში მართლწესრიგის დაცვის, კანონიერების დამკვიდრებისა და განმტკიცების საქმეში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა როლისა და ადგილის შესახებ საგნობრივი საუბარი გაიმართა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციის რესპუბლიკური შტაბის სხდომაზე 31 ივლისს.

მოისმინეს რესპუბლიკური გაზეთების, საქტელერადიოს, საქინფორმის ხელმძღვანელების ინფორმაციები მათი საქმიანობის შესახებ მართლწესრიგის დამყარებისათვის ხელის შეწყობის საქმეში. პრაქტიკული მუშაობის შთავარი აქცენტების თაობაზე შექმნილ ექსტრემალურ პირობებში.

ხაზი გაესვა არსებული ოპერატიული მდგომარეობის ობიექტური შეფასების აუცილებლობას იმ ცალმხრიეობის დაძლევის გზით, რომელიც ჯერ კიდევ შეიმჩნევა ცალკეულ პუბლიკაციებში, ამასთანავე იმ ღონისძიებათა წარმოჩენას, რომლებსაც კანონიერების დაცვის მიზნით განხორციელებენ სამართალდამცავი ორგანოები საზოგადოებრიობასთან კავშირში, განსაკუთრებით იმ შედეგების ჩვენებას, რომლებიც ამ სფეროში ერთობლივი ძალისხმევით მიიღწევა.

ითქვა ისიც, რომ პრესა მოვალეა მართალი პუბლიკაციებით ხელი შეუწყოს დამნაშავე, კორუფციირებული ელემენტების მხილებას, რომლებიც სარგებლობენ რა ხელოვნურად შექმნილი სიძნელეებითა და დეფიციტით, ართულებენ სიტუაციას, აძნელებენ სტაბილიზაციის მიღწევას.

პრესის ხელმძღვანელებმა მხარი დაუჭირეს მოსაზრებას, რომ ამ პრობლემატიკაზე მუშაობის პრაქტიკაში ფაქტიურად რესპუბლიკის თვალსაჩინო მოღვაწეთა, ინტელიგენციის, საზოგადოებრივი მოძრაობების, პარტიებისა და ჯგუფების წარმომადგენელთა მიზიდვა, რათა ამ მიმართულებითაც გაღრმავდეს ჯანსაღი ეროვნული ძალების კონსოლიდაცია საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის საფუძველზე.

განიხილეს რესპუბლიკაში შექმნილ რთულ ვითარებასთან დაკავშირებული პრინციპული საკითხები და მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

შტაბის სხდომა შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნოდარ ჭითანავამ.

(საქინფორმი).

მიზანი — მართლწესრიგის განმტკიცება

აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოში გაიმართა თათბირი, რომელმაც განიხილა საკითხი — „სსრ კავშირის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელ შეიარაღებულ ფორმირებათა შექმნის აკრძალვის, იარაღის უკანონო შენახვის შემთხვევებში მისი ჩამორთმევის შესახებ“. თათბირზე, რომელმაც სსრ კავშირის პრეზიდენტის 1990 წლის 25 ივლისის ბრძანებულების რეალიზაციის ღონისძიებანი განიხილა, მოწვეული იყვნენ სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, ავტონომიური რესპუბლიკის და მისი რეგიონების ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები. თათბირზე ითქვა, რომ საქართველოს მინისტრთა საბჭომ ახლახან ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალური დადგენილება მიიღო. მისი „ტექსტი შეკრებილთ გააცნო საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ დ. ჩიტლოვმა.

ინფორმაციებით, „კონკრეტული წინადადებებითა და შენიშვნებით გამოვიდნენ აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრი გ. ლომინაძე, ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორი ა. კვიწინია, აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გ. ქომოშვილი ადმინისტრაციული ორგანოების და შინაგან საქმეთა საქალაქო და რაიონული განყოფილებების პასუხისმგებელი მუშაკები. ითქვა, რომ პრეზიდენტის ბრძანებულების რეალიზაციისათვის გასატარებელი ღონისძიებები განიხილეს შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიაზე, რომლის წევრებიც მიმგრებული არიან რეგიონებზე, შექმნილია სპეციალური შტაბი. ახლა საჭიროა პარტიული და საბჭოთა ორგანოების შესაბამისი ძალისხმევა. თითოეულმა ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ იგი საამედოდაა დაცული, ამიტომ თავდასაცავად არ დასჭირდება იარაღი. გამოითქვა წინადადება, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ფართოდ გააშუქონ იარაღის და ტყვია-წამლის ნებაყოფლობითი ჩაბარებისა და ჩამორთმევის ფაქტები.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. მელქაძე, რომელმაც ხაზი გაუსვა პრეზიდენტის ბრძანებულებას, მის საფუძველზე მიღებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების მნიშვნელობას. რესპუბლიკის მოსახლეობაში დაგროვილი დიდძალი იარაღი, ტყვია-წამალი და ასაფეთქებელი ნივთიერებანი ქმნის მძიმე დანაშაულებათა ჩადენის შესაძლებლობებს, მით უმეტეს, ეს იარაღი ხშირად დამნაშავე ელემენტების ხელთაა. თათბირზე ითქვა, რომ არ უნდა დაგკარგოთ დრო, განსაკუთრებით ახლა, პირველ სტადიაზე, როცა შემოთავაზებულია ნებაყოფლობით ჩაბარების იარაღი პრეზიდენტის ბრძანებულების გამოქვეყნების დღიდან 15 დღის ვადაში.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს „საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა ლ. ხაბურხანიამ და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ შ. შაკაიამ.

იოსებ გოგბეჩია,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

პური: მინდვრებიდან — ბეღლებში

საქართველოში დაწყებულ ალოობაში პიკია. კახელი მხვნელ-მთესველებისაგან ესტაფეტა ქართლის მიწათმოქმედებმა მიიღეს. ყოველდღიურად საშუალოდ აქ მარცვლეულს ორ-ორი ათას ჰექტარზე იღებენ. ივლისის უკანასკნელი დღისათვის საშემოდგომო თავთავიანი კულტურების მოსავალი რესპუბლიკაში აღებულია ნათესების ნახევარზე მეტ ფართობზე — 85 ათას ჰექტარზე. შუალედური შედეგები „ალოობა-90“-ის საწარმოო წარმატების იმედს გვინერგავს: ყოველ ჰექტარზე საშუალოდ გალეწეს 30 ცენტნერზე მეტი მარცვლეული, რაც 9 ცენტნერით აღემატება შარშანდელ შესაბამის პერიოდს. კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს მოსავლის აღება გურჯაანის, თელავის, ლაგოდეხის, მარნეულის და ბოლნისის რაიონების მეურნეობებმა.

მხვნელ-მთესველები ალოობის დროს წყვეტენ ორერთიან ამოცანას: მოსავალი უნდა აიღონ სწრაფად და უდანაკარგოდ. ამის საჭიროება აღნიშნულია სსრ კავშირის პრეზიდენტის მ. ს. გორბაჩოვის დეპეშაშიც, რომელიც წლის მოსავლისათვის ბრძოლის ყველაზე პასუხსაგის პერიოდში მოვიდა რესპუბლიკის ხელმძღვანელობის სახელზე. ადგილებზე საქმის ვითარებას, მიწათმოქმედთა საჭიროებებს გაეცნო საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. გ. გუმბარიძე, რომელიც ეწვია წითელწყაროსა და გარდაბნის რაიონებს. აქ დღის წესრიგიდან მოხსნილია გადაუდებელი, უპირველესი მნიშვნელობის ამოცანები. გაუჭირდესდა საწვავ-საპოხი მასალებით, სათადარიგო ნაწილებით მომარაგება, ალოობის მომსახურება ტრანსპორტით, რომელიც გამოგზავნეს თბილისიდან, რუსთავიდან, სხვა სამრეწველო ცენტრებიდან. ზრუნვა, დიდი გამომუშავება ხელს უწყობს ადამიანთა კარგ განწყობილებას, რომლებიც დილიდან დაღამებამდე მუშაობენ მინდვრად, ცალოზე, ელევატორებსა და მიმღებ პუნქტებში.

დღითი დღე ივსება ბეღლები წითელწყაროს რაიონის მეურნეობებში, სადაც საშემოდგომო თავთავიანებს ეკავათ დაახლოებით 20 ათასი ჰექტარი. სარგებლობენ რა მშრალი ამინდით, მექანიზატორთა საამეურნეო-ინგარიშიანი ბრიგადები სწრაფად და კარგად ასრულებენ სამუშაოს. აქ მოსავლის

კურორტი და დამსვენებელი

ბედის ანაბარა

ურეკსაც სჭირდება მიხედვა...

„კომუნისტში“ მრავალჯერ დაიბეჭდა წერილები ურეკის სატკივარზე, მაგრამ საქმეს არაფერი ეშველა. არადა, ურეკი შავიზღვისპირეთის ერთ-ერთი ჩინებული კურორტია. იგი გამოირჩევა მარადმწვანე წიწვოვან მცენარეთა სიუხვით, პლაჟითა და სამკურნალო თვისებების მქონე მაგნიტური სილით. მაგრამ დასვენებისათვის, როგორც ჩანს, მხოლოდ ეს როდი კმარა.

რა დასამლია და კურორტის ბედს მრავალი რესპუბლიკური ორგანიზაცია და უწყება განაგებს, რომლებმაც გაზეთის კრიტიკა ყურად არ იღეს. დამსვენებლები კვლავაც გვახსენებენ თავს, საყვედურს ვამოთქვამენ მომსახურების გამო, ჩვენც, რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარესთან დიმიტრი კოსტავასთან, ურეკის სანატორიუმ „მეგობრობის“ მთავარ ექიმთან ნიკა ქარცივაძესთან, ურეკის უბნის მილიციის რწმუნებულთან შოთა მაღლაკელიძესთან ერთად კურორტის ყველა კუთხე-კუნჭული მოვიარეთ, შევამოწმეთ ფაქტები, დავრწმუნდით, რომ დამსვენებელთა საკეთილდღეოდ აქ თითქმის არაფერი კეთდება, მომსახურების დაბალი დონე ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

კურორტის ცენტრალურ ჭუჭაზე თითქმის ყოველ ნაბიჯზე გორა-გორად ყრია ნაგავი. მოაგროვეთ კარდაკარ ვეებერთელა ღორები დთბარეშობენ, ერთი ადგილიდან მეორეზე გადააქვთ სიბინძურე, რაც აშკარა ეპიდემიის საშიშროებას ქმნის. დაჭობებულ ორმოებს ნაგვის საყრელად იყენებენ. გაჩნდა კოღოები...

მიუხედავად იმისა, რომ სანატორიუმი „მეგობრობა“ ყველაზე პოპულარული დასვენებისა და ჯანმრთელობის კერაა მთელს კურორტზე, ყველაფერი რიგზე არც აქაა. დამსვენებლებს ხშირად აკლიათ რძის ნაწარმი, ბოსტნეული, ქობულეთის კურორტკომბინატი ვერ აუდის დამსვენებელთა მოთხოვნებს ბოსტნეულსა და რძის ნაწარმზე.

მოგაგონებთ მომსახურების დონე შესამჩნევად დაბალი კურორტის ნებისმიერ ობიექტზე. ერთ დროს თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკი „მზიანეთი“ (რომელიც კურორტის ცენტრშია განლაგებული) განთქმული იყო სანიმუშო მომსახურებით. ახლა კი ბანაკი მოკლებულია ელემენტარულ მომსახურებას. როგორც აქ გვითხრეს, ბანაკზე ზრუნვა კოოპერატივს უკისრია, იმისაც ამბობენ, დამსვენებლები ცხრა მთას იქიდან მოჰყავთ შუაკაცებს. მართლაც ვნახეთ რესპუბლიკის ფარგლებს გარედან ჩამოსული დამსვენებლები. ეს კია, უცნაურობასაც წვავწუდთ: აქაურ საგზურს ცეცხლი ეკიდება — 24-დღიანი დასასვენებელი საგზური 240 მანეთი ღირს, ასეთივე საგზური სანატორიუმ „მეგობრობაში“ კი 140 მანეთია. თანაც აქ, ამ ფასად სანიმუშო მკურნალობა უტარდებათ დამსვენებლებს, იქ კი...

დასვენებაც არის და დასვენებაც. სხვა კომფორტს რომ თავი დავანებოთ, კაცმა რიგიანი კერძი ხომ უნდა ჭამოს. ურეკში კი მწვავედ იგრძნობა დამსვენებელთა სურსათ-სანოვაგითა და კვების სხვა პროდუქტებით მომარაგებაში სერიოზული ნაკლოვანებანი. ყველაფერს ქობულეთის კურორტკომბინატის მუშაკებსაც ვერ გადავაბრალებთ, აქ თავისი სიტყვა რაიკომპკავშირის საზკვების დირექციამაც უნდა თქვას.

ასეთი სამარცხვინო ფაქტიც ვნახეთ: კურორტის ცენტრალურ ადგილას, ყოფილი რესტორნის წინ, ჭუჭის პირას, სადაც მუხლამდე მტვერი დგას, კოოპერატივ „ფაზისს“ ე. წ. სამწვადე მოუწყვია. ხასიათი გაგვიფუჭდა, როცა ახლოს მივედით — ორი დაქირავებული დიასახლისი მწვადს ამზადებდნენ შესაწვავად. ამ დროს კი ზღვის ნიავმაც დაუბერა და ისეთი მტვრის ბუღი დააყენა, გარეთ ძლივს გამოვსულხარით. როგორც შემდეგ შევიტყვეთ, კოოპერატივი „ფაზისი“ ჯერ მხოლოდ ქაღალდზე არსებობს.

ქართული პურის საცხობშიც შევიარეთ, გარეთ რიგი იდგა. ცომის სახელ ქვაში კი აუარებელი ბუზი ირეოდა, ყველაფერს სიბინძურის სუნი ასდიოდა. ეს რომ მომხმარებელმა იცოდეს, სათოფეზე არ გიეკარება ეს ფუტრობას. ანტისანიტარია სუფევდა ჩვენს მიერ ნანახ რესტორანსა და საკონდიტრო ნაწარმის საამქროშიც.

ურეკის ერთ დიდ სატკივარზეც მოგვახსენეს კურორტის გულშემატკივრებმა. ტერიტორიაზე განლაგებულ არც ერთ ობიექტზე გაფრენდი ნაგებობა არ მუშაობს, წყალსადენებს არ გააჩნიათ საკანალიზაციო სისტემა. ბინძურ-ბინძური ტბა ბინადრობს ბინძურ ადგილებში. ეს ტბა ეკიდება ზღვას. ეს ტბა ბინძურ-ბინძური ადგილებიდან ამოიღებ ბინძურ ტალახს, ბინძურ ბალიშებს, ბინძურ ბალიშებს, ბინძურ ბალიშებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკუნოვეთში

საკადესი იუნყება
1 აგვისტო

ედუარდ შევარდნაძე და ჯეიმს ბეიკერი: კიდევ რამდენი პრობლემაა გადასაჭრელი?

ვაშინგტონი. თეთრი სახლის წარმომადგენელმა ელიქს გლენმა არ გამორიცხა მომდინარე წლის ნოემბერში საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრის გამართვის შესაძლებლობა. „ამჟამად იგეგმება პარიზში ნოემბერში ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ფარგლებში უმაღლესი დონის შეხვედრა. იგი გაიმართება იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმდნენ ევროპაში ჩეულებრივი შეიარაღებული ძალებისა და იარაღის შემცირებაზე“, — აღნიშნა თეთრი სახლის წარმომადგენელმა ჟურნალისტებთან მორიგი შეხვედრის დროს.

სოფია. კიდევ ერთი დღე გაჭიანურდა საპარლამენტო კრიზისი ბულგარეთში. განვლილ ორ კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში დიდი სახალხო კრების დეპუტატებმა ვერა და ვერ მოახერხეს აერჩიათ პრეზიდენტი, „დაიწუნეს“ ოთხი კანდიდატი. არ შემდგარა ამ საკითხზე კენჭისყრა

ომიისშემდგომ საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება მოვლენა, რომელსაც პოლიტიკოსების, პოლიტოლოგების, ჟურნალისტების აზრთა ისეთი სხვადასხვაობა გამოეწვიოს, როგორც ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის თათბირს, შემდგომში ჰელსინკის პროცესის სახელითაც რომ არის ცნობილი. როდესაც თხუთმეტი წლის წინათ ევროპის 33 სახელმწიფოს, შეერთებული შტატების და კანადის ხელმძღვანელები ხელს აწერდნენ მრავალი წლის დაძაბული მუშაობის ნაყოფს — ჰელსინკის საბოლოო აქტს, მათ ალბათ ვერც კი წარმოედგინათ, თუ რა შენელებული მოქმედების ბომბის საათის მექანიზმი ჩართეს. ისტორიის თვალსაზრისით თხუთმეტი წელი მხოლოდ ერთი გაელვებაა, მაგრამ ამ მოკლე პერიოდში ჰელსინკის პროცესმა ისეთი კრიზისები და აღმავლობა გადაიტანა, რომ ზოგჯერ იქმნება შთაბეჭდილება (იკითუ ეფაფუძვლო), თითქოს მთელმა ეპოქამ ჩაიარაო ჩვენს თვალწინ.

თავის ერთ-ერთ სტატიაში ცნობილმა საბჭოთა მეცნიერმა, აკადემიკოსმა ნ. ინოზემცევმა ჰელსინკის თათბირის ფარგლებზე განმუტტვის პოლიტიკის „კონცენტრირებული გამოხატულება“ უწოდა. მოგვიანებით ამ განსაზღვრებამ უცვლელად გადაინაცვლა ლ. ბრეჟნევის რომელიღაც მოხსენებაში, თუმცა უნდა ითქვას, იგი იშვიათი სიზუსტით ასახავდა როგორც თვით იმ დროის, ისე პოლიტიკური სიტუაციის თავისებურებებსაც. ეკეგბარეშვა, ნ. ინოზემცევი (და ავტომატურად ლ. ბრეჟნევი) ამ ფორმულაში მხოლოდ დადებით ფაქტორებს გულისხმობდა, სინამდვილეში კი, რეალური გარემოებებიდან გამომდინარე, ჰელსინკის თათბირმა და მის ნიადაგზე აღმოცენებულმა პროცესმა მართლაც სრულად მოიცვა ყველა ის სიძნელე და ნაკლი, რაც საერთოდ ახასიათებდა 70-იანი წლების განმუტტვას. განმუტტვის დადებით მხარეებზე თავის დროზე იმდენი რამ ითქვა და დაიწერა, რომ მისი, მართალია საგრძნობლად გაზვიადებული მნიშვნელობა უბრალო ადამიანების თვალში საბოლოოდ გაუფასურდა. ნაკლი კი ის გახლდათ, რომ აღმოსავლეთი და დასავლეთი, საბჭოთა კავშირი და შეერთებული შტატები დიამეტრულად განსხვავებულ აზრს აქსოვდნენ განმუტტვაში და შესაბამისად აბსოლუტურად განსხვავებულ მიზნებს ისახავდნენ ამ პოლიტიკის განხორციელებისას.

ზემოთქმული რამდენადმე გამარტივებული სახით შემდეგი სქემით შეიძლება წარმოვიდგინოთ. განმუტტვაში საბჭოთა კავშირი უწინარეს ყოვლისა, ხედავდა ომისშემდგომ პერიოდში ჩამოყალიბებული ტერიტორიული და პოლიტიკური რეალობების აღიარებისა და დაკანონების შესაძლებლობას, შეერთებულ შტატებთან მიღწეული ბრთვული პარიტეტის პირობებში ერთგვარი სულის მოთქმის საშუალებას, რაც გამაღებული შეიარაღების ოდნავ შენელებას და საკმაოდ არაეფექტიანი კონტროლის ჩარჩოებში მოქცევას ითვალისწინებდა. თუ ცოტათი გავუსწრებთ მოვლენებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ მცირე პაუზა ბირთვული იარაღის თვისებრივი და რაოდენობრივი ზრდის პროცესში საბჭოთა კავშირმა მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით კი ე. წ. „მესამე სამყაროში“ თავისი გავლენის გაფართოებას მოახმარა და არა თავისი ეკონომიკის სავალალო მდგომარეობის გაუმჯობესებას. განმუტტვის პოლიტიკისადმი მოსკოვის საერთო მიდგომა, ბუნებრივია, ჰელსინკის თათბირზე მის მიერ დაკავებულ პოზიციაში პოულობდა ასახვას. ჰელსინკის პროცესის საწყისი ეტაპისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ საუკეთესო გამოკვლევაში „მოხსენება მოლაპარაკების შესახებ“, რომელიც იტალიელი სპეციალისტების კალამს ეკუთვნის, ავტორები პირდაპირ აღნიშნავენ: „საბჭოთა კავშირი ისწრაფვოდა, რომ თათბირის შედეგები შემოფარგლულიყო გენერალური დეკლარაციით (პოლიტიკური პრინციპების შესახებ — **ბ. ბ.**), რომელსაც ექნებოდა არა ხელშეკრულების, არამედ მხოლოდ პოლიტიკური დეკლარაციის ხასიათი — განზრახვების დეკლარაციისა, რომლის შედეგები რაც შეიძლება ზედაპირული უნდა ყოფილიყო“. ამრიგად, მოსკოვს ეწადა ისეთი დოკუმენტის შემუშავება, რომელიც ფაქტობრივად ცნობდა ევროპის (გერმანის) გაყოფას, მაგრამ მეორე მხრივ, ვერ დააკისრებდა მას იურიდიულ ვალდებულებებს.

რაც შეეხება დასავლეთ ევროპისა და შეერთებული შტატების პოზიციას, აქ ერთი შეხედვით უმნიშვნელო წინააღმდეგობა იყო. დასავლეთ ევროპისათვის განმუტტვის პოლიტიკა მოასწავებდა ჰუმანიტარული თანამშრომლობის განვითარებას, ადამიანის უფლებების პრობლემების საჯარო და გულდასმით განხილვას, „იდეებისა და ხალხის თავისუფალი“ გაცვლის რეალურ პერსპექტივას და შესაბამისად მწვავე იდეოლოგიურ ბრძოლაში შესამჩნევი უპირატესობის მოპოვებას. გამართლებული არ იქნებოდა იმის თქმა, რომ ვაშინგტონისათვის ჰუმანიტარული თანამშრომლობა მხოლოდ ფუჭი სიტყვების ტოლფასი იყო, მაგრამ პრიორიტეტების რიგში მისთვის პირველ ადგილზე მაინც შეიარაღებისადმი კონტროლის და განიარაღების საკითხები იდგა. ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰ. კისინჯერი თავის მემუარებში „თეთრი სახლის წლები“ წერდა: „ჩვენი სტრატეგია იმაში მდგომარეობდა, რომ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დაწყება იარაღისა და შეიარაღებული ძალების შემცირების მოლაპარაკებების სტარტით იყო განპირობებული“ (მოსკოვი დიდი ხნის განმავლობაში აკიანურებდა ევროპაში ჩვეულებრივი იარაღის შემცირებაზე მოლაპარაკების დაწყებას და როდესაც ცხადი გახდა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში განწირული იქნებოდა ჰელსინკის თათბირიც, მხოლოდ მაშინ მისცა დასავლეთს თანხმობა).

აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ჰელსინკის პროცესი მრავალმხრივი კომპრომისის, უფრო სწორად კი გარიგების შედეგად იშვა. საბჭოთა კავშირმა საბოლოო აქტს მხოლოდ იმიტომ მოაწერა ხელი, რომ იგი პრინციპების დეკლარაციას (ე. წ. „პირველ კალათას“) შეიცავდა, ხოლო დასავლეთმა თავის გამარჯვებად დოკუმენტში ჰუმანიტარული ნაწილის („მესამე კალათის“) შეტანა ჩათვალა. ამდენად, საბოლოო აქტი იმთავითვე წარმოადგენდა განხეთქილების ვაშლს, თავისთავად მეტად გაწონასწორებული და პოლიტიკური შინაარსით დატვირთული დოკუმენტი (კონფრონტაციის უფრო მეტ საბაბს იძლეოდა, ვიდრე კონსტრუქციული თანამშრომლობისას. სწორედ ამიტომ, აქტს ჯერ კიდევ მელანსაც არ შეშრობოდა, რომ განმუტტვის პოლიტიკამ და მის საფუძველზე აგებულმა ჰელსინკის პროცესმაც ფაქტობრივად რღვევა იწყეს. ჰელსინკში გამგზავრების წინ შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯ. ფორდს ბევრი უსიამოვნო გამონთქვამის მოსმენა მოუხდა — თათბირს „მიუნხენის შეთქმულებას“ ადარებდნენ, პრეზიდენტს პირდაპირ ადანაშაულებდნენ, რომ დასკვნითი აქტის ხელმოწერით იგი „ღალატობს“ აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიის პირეთის ქვეყნების ინტერესებს. მაგრამ როგორც მოგვიანებით გამოჩნდა, ეს მხოლოდ მოთელვა იყო და ჰელსინკიდან დაბრუნების შემდეგ ჯ. ფორდს კრიტიკის ისეთი ქარცეცხლი დაატყდა თავს, რომ იგი იძულებული გახდა საერთოდ ეთქვა უარი ტერმინზე „განმუტტვა“ („დეტანტი“). ამ მეტამორფოზის ახსნას ჰ. კისინჯერი ლინგვისტური მოსაზრებებით შეეცადა, მაგრამ ასეა თუ ისე, სიტყვა „დეტანტი“ ხანგრძლივი დროით გაქრა ამერიკელ მოღვაწეთა პოლიტიკური ლექსიკონიდან (დაკვირვებული მკითხველი ალბათ შეამჩნევდა, რომ საერთაშორისო კლიმატის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების, „ცივი ომის“ დასრულების მიუხედავად, პოლიტიკოსები ამ სიტყვას დღესაც მაინცდამაინც არ სწყალობენ). ალბათ არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ 70-იანი წლების განმუტტვის პოლიტიკის ამერიკელი არქიტექტორები, ახლა უკვე ყოფილი პრეზიდენტი რ. ნიქსონი და ჰ. კისინჯერი პოლიტიკური ასპარეზიდან ჩამოსვლის შემდეგ, მრავალი წლის განმავლობაში იმათ პირველ რიგებში იმყოფებოდნენ, ვინც საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის წარმართვას მხოლოდ ძალის პოზიციიდან მოითხოვდა. საჯარო გამოსვლებითა და სტატიებით თუ ვიმსჯელებთ, მათ დღესაც არ განელებიათ უნდობლობა კრემლის პოლიტიკისადმი.

როდენ პარადოქსულადაც უნდა ეღერდეს, ჰელსინკის თათბირი ღრმა კრიზისიდან გამოიყვანა და ფაქტობრივად დალუპვისაგან იხსნა ერთი მხრივ დასავლეთის მიერ იმის შეგნებამ, რომ საბოლოო აქტი, განსაკუთრებით ადამიანის უფლებების დაცვის VII პრინციპი და „მესამე კალათა“ საბჭოთა კავშირზე, მთელ სოციალისტურ თანამეგობრობაზე იდეოლოგიური და პროპაგანდისტული დაწოლის მეტად მოსახერხებელ ინსტრუმენტად წარმოადგენს. ამ დებულების დამადასტურებლად ამერიკის საკანონმდებლო ორგანოში შესაბამისი მექანიზმის შექმნაც იკმარებს. კერძოდ, 1976 წელს ჩამოყალიბდა თავისი სტატუსით უნიკალური კონგრესის გაერთიანებული კომისია ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ სენატისა და წარმომადგენელთა პალატის წევრები, სახელმწიფო დეპარტამენტის, თავდაცვისა და ვაჭრობის სამინისტროს წარმომადგენლები. კომისიის ერთ-ერთ მოხსენებაში მისი საქმიანობის მთავარი მიზანი ჩამოყალიბებული იყო. როგორც „საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მიერ საბოლოო აქტის დებულებების შესრულების შემოწმება“. ნიშანდობლივია, რომ 1985 წელს, რ. რეიგანის პრეზიდენტობის დროს კომისიის შემადგენლობა მნიშვნელოვნად გაფართოვდა, რაც მისი საქმიანობის დადებითი შეფასების ტოლფასი იყო.

მეორე მხრივ, თუ საბჭოთა მოტივებს განვიხილავთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსკოვისთვის ჩვეული გახდა ჰელსინკის პროცესის ფარგლებში თავდაცვით მდგომარეობაში ყოფნა და, როგორც ჩანს, კრემლს ვარაუდით, ამ პროცესის ჩაშლა შეტ ზიანს მოუტანდა მის პრესტიჟს, ვიდრე გაუთავებელი და უმრავლეს შემთხვევაში დასაბუთებული კრიტიკის მოსმენა. მით უმეტეს, რომ მასზე კონკრეტული რეაგირება სულაც არ იყო აუცილებელი.

ჰელსინკიდან პარიზამდე

თხუთმეტი წლის გადმოსახედიდან

(„მესამე კალათის“) შეტანა ჩათვალა. ამდენად, საბოლოო აქტი იმთავითვე წარმოადგენდა განხეთქილების ვაშლს, თავისთავად მეტად გაწონასწორებული და პოლიტიკური შინაარსით დატვირთული დოკუმენტი (კონფრონტაციის უფრო მეტ საბაბს იძლეოდა, ვიდრე კონსტრუქციული თანამშრომლობისას. სწორედ ამიტომ, აქტს ჯერ კიდევ მელანსაც არ შეშრობოდა, რომ განმუტტვის პოლიტიკამ და მის საფუძველზე აგებულმა ჰელსინკის პროცესმაც ფაქტობრივად რღვევა იწყეს. ჰელსინკში გამგზავრების წინ შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯ. ფორდს ბევრი უსიამოვნო გამონთქვამის მოსმენა მოუხდა — თათბირს „მიუნხენის შეთქმულებას“ ადარებდნენ, პრეზიდენტს პირდაპირ ადანაშაულებდნენ, რომ დასკვნითი აქტის ხელმოწერით იგი „ღალატობს“ აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიის პირეთის ქვეყნების ინტერესებს. მაგრამ როგორც მოგვიანებით გამოჩნდა, ეს მხოლოდ მოთელვა იყო და ჰელსინკიდან დაბრუნების შემდეგ ჯ. ფორდს კრიტიკის ისეთი ქარცეცხლი დაატყდა თავს, რომ იგი იძულებული გახდა საერთოდ ეთქვა უარი ტერმინზე „განმუტტვა“ („დეტანტი“). ამ მეტამორფოზის ახსნას ჰ. კისინჯერი ლინგვისტური მოსაზრებებით შეეცადა, მაგრამ ასეა თუ ისე, სიტყვა „დეტანტი“ ხანგრძლივი დროით გაქრა ამერიკელ მოღვაწეთა პოლიტიკური ლექსიკონიდან (დაკვირვებული მკითხველი ალბათ შეამჩნევდა, რომ საერთაშორისო კლიმატის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების, „ცივი ომის“ დასრულების მიუხედავად, პოლიტიკოსები ამ სიტყვას დღესაც მაინცდამაინც არ სწყალობენ). ალბათ არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ 70-იანი წლების განმუტტვის პოლიტიკის ამერიკელი არქიტექტორები, ახლა უკვე ყოფილი პრეზიდენტი რ. ნიქსონი და ჰ. კისინჯერი პოლიტიკური ასპარეზიდან ჩამოსვლის შემდეგ, მრავალი წლის განმავლობაში იმათ პირველ რიგებში იმყოფებოდნენ, ვინც საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის წარმართვას მხოლოდ ძალის პოზიციიდან მოითხოვდა. საჯარო გამოსვლებითა და სტატიებით თუ ვიმსჯელებთ, მათ დღესაც არ განელებიათ უნდობლობა კრემლის პოლიტიკისადმი.

როდენ პარადოქსულადაც უნდა ეღერდეს, ჰელსინკის თათბირი ღრმა კრიზისიდან გამოიყვანა და ფაქტობრივად დალუპვისაგან იხსნა ერთი მხრივ დასავლეთის მიერ იმის შეგნებამ, რომ საბოლოო აქტი, განსაკუთრებით ადამიანის უფლებების დაცვის VII პრინციპი და „მესამე კალათა“ საბჭოთა კავშირზე, მთელ სოციალისტურ თანამეგობრობაზე იდეოლოგიური და პროპაგანდისტული დაწოლის მეტად მოსახერხებელ ინსტრუმენტად წარმოადგენს. ამ დებულების დამადასტურებლად ამერიკის საკანონმდებლო ორგანოში შესაბამისი მექანიზმის შექმნაც იკმარებს. კერძოდ, 1976 წელს ჩამოყალიბდა თავისი სტატუსით უნიკალური კონგრესის გაერთიანებული კომისია ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ სენატისა და წარმომადგენელთა პალატის წევრები, სახელმწიფო დეპარტამენტის, თავდაცვისა და ვაჭრობის სამინისტროს წარმომადგენლები. კომისიის ერთ-ერთ მოხსენებაში მისი საქმიანობის მთავარი მიზანი ჩამოყალიბებული იყო. როგორც „საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მიერ საბოლოო აქტის დებულებების შესრულების შემოწმება“. ნიშანდობლივია, რომ 1985 წელს, რ. რეიგანის პრეზიდენტობის დროს კომისიის შემადგენლობა მნიშვნელოვნად გაფართოვდა, რაც მისი საქმიანობის დადებითი შეფასების ტოლფასი იყო.

მეორე მხრივ, თუ საბჭოთა მოტივებს განვიხილავთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსკოვისთვის ჩვეული გახდა ჰელსინკის პროცესის ფარგლებში თავდაცვით მდგომარეობაში ყოფნა და, როგორც ჩანს, კრემლს ვარაუდით, ამ პროცესის ჩაშლა შეტ ზიანს მოუტანდა მის პრესტიჟს, ვიდრე გაუთავებელი და უმრავლეს შემთხვევაში დასაბუთებული კრიტიკის მოსმენა. მით უმეტეს, რომ მასზე კონკრეტული რეაგირება სულაც არ იყო აუცილებელი.

ვაშინგტონი. თეთრი სახლის წარმომადგენელმა ელიქს გლენმა არ გამორიცხა მომდინარე წლის ნოემბერში საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრის გამართვის შესაძლებლობა. „ამჟამად იგეგმება პარიზში ნოემბერში ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ფარგლებში უმაღლესი დონის შეხვედრა. იგი გაიმართება იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმდნენ ევროპაში ჩეულებრივი შეიარაღებული ძალებისა და იარაღის შემცირებაზე“, — აღნიშნა თეთრი სახლის წარმომადგენელმა ჟურნალისტებთან მორიგი შეხვედრის დროს.

სოფია. კიდევ ერთი დღე გაჭიანურდა საპარლამენტო კრიზისი ბულგარეთში. განვლილ ორ კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში დიდი სახალხო კრების დეპუტატებმა ვერა და ვერ მოახერხეს აერჩიათ პრეზიდენტი, „დაიწუნეს“ ოთხი კანდიდატი. არ შემდგარა ამ საკითხზე კენჭისყრა

ომიისშემდგომ საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება მოვლენა, რომელსაც პოლიტიკოსების, პოლიტოლოგების, ჟურნალისტების აზრთა ისეთი სხვადასხვაობა გამოეწვიოს, როგორც ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის თათბირს, შემდგომში ჰელსინკის პროცესის სახელითაც რომ არის ცნობილი. როდესაც თხუთმეტი წლის წინათ ევროპის 33 სახელმწიფოს, შეერთებული შტატების და კანადის ხელმძღვანელები ხელს აწერდნენ მრავალი წლის დაძაბული მუშაობის ნაყოფს — ჰელსინკის საბოლოო აქტს, მათ ალბათ ვერც კი წარმოედგინათ, თუ რა შენელებული მოქმედების ბომბის საათის მექანიზმი ჩართეს. ისტორიის თვალსაზრისით თხუთმეტი წელი მხოლოდ ერთი გაელვებაა, მაგრამ ამ მოკლე პერიოდში ჰელსინკის პროცესმა ისეთი კრიზისები და აღმავლობა გადაიტანა, რომ ზოგჯერ იქმნება შთაბეჭდილება (იკითუ ეფაფუძვლო), თითქოს მთელმა ეპოქამ ჩაიარაო ჩვენს თვალწინ.

თავის ერთ-ერთ სტატიაში ცნობილმა საბჭოთა მეცნიერმა, აკადემიკოსმა ნ. ინოზემცევმა ჰელსინკის თათბირის ფარგლებზე განმუტტვის პოლიტიკის „კონცენტრირებული გამოხატულება“ უწოდა. მოგვიანებით ამ განსაზღვრებამ უცვლელად გადაინაცვლა ლ. ბრეჟნევის რომელიღაც მოხსენებაში, თუმცა უნდა ითქვას, იგი იშვიათი სიზუსტით ასახავდა როგორც თვით იმ დროის, ისე პოლიტიკური სიტუაციის თავისებურებებსაც. ეკეგბარეშვა, ნ. ინოზემცევი (და ავტომატურად ლ. ბრეჟნევი) ამ ფორმულაში მხოლოდ დადებით ფაქტორებს გულისხმობდა, სინამდვილეში კი, რეალური გარემოებებიდან გამომდინარე, ჰელსინკის თათბირმა და მის ნიადაგზე აღმოცენებულმა პროცესმა მართლაც სრულად მოიცვა ყველა ის სიძნელე და ნაკლი, რაც საერთოდ ახასიათებდა 70-იანი წლების განმუტტვას. განმუტტვის დადებით მხარეებზე თავის დროზე იმდენი რამ ითქვა და დაიწერა, რომ მისი, მართალია საგრძნობლად გაზვიადებული მნიშვნელობა უბრალო ადამიანების თვალში საბოლოოდ გაუფასურდა. ნაკლი კი ის გახლდათ, რომ აღმოსავლეთი და დასავლეთი, საბჭოთა კავშირი და შეერთებული შტატები დიამეტრულად განსხვავებულ აზრს აქსოვდნენ განმუტტვაში და შესაბამისად აბსოლუტურად განსხვავებულ მიზნებს ისახავდნენ ამ პოლიტიკის განხორციელებისას.

ზემოთქმული რამდენადმე გამარტივებული სახით შემდეგი სქემით შეიძლება წარმოვიდგინოთ. განმუტტვაში საბჭოთა კავშირი უწინარეს ყოვლისა, ხედავდა ომისშემდგომ პერიოდში ჩამოყალიბებული ტერიტორიული და პოლიტიკური რეალობების აღიარებისა და დაკანონების შესაძლებლობას, შეერთებულ შტატებთან მიღწეული ბრთვული პარიტეტის პირობებში ერთგვარი სულის მოთქმის საშუალებას, რაც გამაღებული შეიარაღების ოდნავ შენელებას და საკმაოდ არაეფექტიანი კონტროლის ჩარჩოებში მოქცევას ითვალისწინებდა. თუ ცოტათი გავუსწრებთ მოვლენებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ მცირე პაუზა ბირთვული იარაღის თვისებრივი და რაოდენობრივი ზრდის პროცესში საბჭოთა კავშირმა მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით კი ე. წ. „მესამე სამყაროში“ თავისი გავლენის გაფართოებას მოახმარა და არა თავისი ეკონომიკის სავალალო მდგომარეობის გაუმჯობესებას. განმუტტვის პოლიტიკისადმი მოსკოვის საერთო მიდგომა, ბუნებრივია, ჰელსინკის თათბირზე მის მიერ დაკავებულ პოზიციაში პოულობდა ასახვას. ჰელსინკის პროცესის საწყისი ეტაპისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ საუკეთესო გამოკვლევაში „მოხსენება მოლაპარაკების შესახებ“, რომელიც იტალიელი სპეციალისტების კალამს ეკუთვნის, ავტორები პირდაპირ აღნიშნავენ: „საბჭოთა კავშირი ისწრაფვოდა, რომ თათბირის შედეგები შემოფარგლულიყო გენერალური დეკლარაციით (პოლიტიკური პრინციპების შესახებ — **ბ. ბ.**), რომელსაც ექნებოდა არა ხელშეკრულების, არამედ მხოლოდ პოლიტიკური დეკლარაციის ხასიათი — განზრახვების დეკლარაციისა, რომლის შედეგები რაც შეიძლება ზედაპირული უნდა ყოფილიყო“. ამრიგად, მოსკოვს ეწადა ისეთი დოკუმენტის შემუშავება, რომელიც ფაქტობრივად ცნობდა ევროპის (გერმანის) გაყოფას, მაგრამ მეორე მხრივ, ვერ დააკისრებდა მას იურიდიულ ვალდებულებებს.

რაც შეეხება დასავლეთ ევროპისა და შეერთებული შტატების პოზიციას, აქ ერთი შეხედვით უმნიშვნელო წინააღმდეგობა იყო. დასავლეთ ევროპისათვის განმუტტვის პოლიტიკა მოასწავებდა ჰუმანიტარული თანამშრომლობის განვითარებას, ადამიანის უფლებების პრობლემების საჯარო და გულდასმით განხილვას, „იდეებისა და ხალხის თავისუფალი“ გაცვლის რეალურ პერსპექტივას და შესაბამისად მწვავე იდეოლოგიურ ბრძოლაში შესამჩნევი უპირატესობის მოპოვებას. გამართლებული არ იქნებოდა იმის თქმა, რომ ვაშინგტონისათვის ჰუმანიტარული თანამშრომლობა მხოლოდ ფუჭი სიტყვების ტოლფასი იყო, მაგრამ პრიორიტეტების რიგში მისთვის პირველ ადგილზე მაინც შეიარაღებისადმი კონტროლის და განიარაღების საკითხები იდგა. ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰ. კისინჯერი თავის მემუარებში „თეთრი სახლის წლები“ წერდა: „ჩვენი სტრატეგია იმაში მდგომარეობდა, რომ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დაწყება იარაღისა და შეიარაღებული ძალების შემცირების მოლაპარაკებების სტარტით იყო განპირობებული“ (მოსკოვი დიდი ხნის განმავლობაში აკიანურებდა ევროპაში ჩვეულებრივი იარაღის შემცირებაზე მოლაპარაკების დაწყებას და როდესაც ცხადი გახდა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში განწირული იქნებოდა ჰელსინკის თათბირიც, მხოლოდ მაშინ მისცა დასავლეთს თანხმობა).

აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ჰელსინკის პროცესი მრავალმხრივი კომპრომისის, უფრო სწორად კი გარიგების შედეგად იშვა. საბჭოთა კავშირმა საბოლოო აქტს მხოლოდ იმიტომ მოაწერა ხელი, რომ იგი პრინციპების დეკლარაციას (ე. წ. „პირველ კალათას“) შეიცავდა, ხოლო დასავლეთმა თავის გამარჯვებად დოკუმენტში ჰუმანიტარული ნაწილის („მესამე კალათის“) შეტანა ჩათვალა. ამდენად, საბოლოო აქტი იმთავითვე წარმოადგენდა განხეთქილების ვაშლს, თავისთავად მეტად გაწონასწორებული და პოლიტიკური შინაარსით დატვირთული დოკუმენტი (კონფრონტაციის უფრო მეტ საბაბს იძლეოდა, ვიდრე კონსტრუქციული თანამშრომლობისას. სწორედ ამიტომ, აქტს ჯერ კიდევ მელანსაც არ შეშრობოდა, რომ განმუტტვის პოლიტიკამ და მის საფუძველზე აგებულმა ჰელსინკის პროცესმაც ფაქტობრივად რღვევა იწყეს. ჰელსინკში გამგზავრების წინ შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯ. ფორდს ბევრი უსიამოვნო გამონთქვამის მოსმენა მოუხდა — თათბირს „მიუნხენის შეთქმულებას“ ადარებდნენ, პრეზიდენტს პირდაპირ ადანაშაულებდნენ, რომ დასკვნითი აქტის ხელმოწერით იგი „ღალატობს“ აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიის პირეთის ქვეყნების ინტერესებს. მაგრამ როგორც მოგვიანებით გამოჩნდა, ეს მხოლოდ მოთელვა იყო და ჰელსინკიდან დაბრუნების შემდეგ ჯ. ფორდს კრიტიკის ისეთი ქარცეცხლი დაატყდა თავს, რომ იგი იძულებული გახდა საერთოდ ეთქვა უარი ტერმინზე „განმუტტვა“ („დეტანტი“). ამ მეტამორფოზის ახსნას ჰ. კისინჯერი ლინგვისტური მოსაზრებებით შეეცადა, მაგრამ ასეა თუ ისე, სიტყვა „დეტანტი“ ხანგრძლივი დროით გაქრა ამერიკელ მოღვაწეთა პოლიტიკური ლექსიკონიდან (დაკვირვებული მკითხველი ალბათ შეამჩნევდა, რომ საერთაშორისო კლიმატის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების, „ცივი ომის“ დასრულების მიუხედავად, პოლიტიკოსები ამ სიტყვას დღესაც მაინცდამაინც არ სწყალობენ). ალბათ არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ 70-იანი წლების განმუტტვის პოლიტიკის ამერიკელი არქიტექტორები, ახლა უკვე ყოფილი პრეზიდენტი რ. ნიქსონი და ჰ. კისინჯერი პოლიტიკური ასპარეზიდან ჩამოსვლის შემდეგ, მრავალი წლის განმავლობაში იმათ პირველ რიგებში იმყოფებოდნენ, ვინც საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის წარმართვას მხოლოდ ძალის პოზიციიდან მოითხოვდა. საჯარო გამოსვლებითა და სტატიებით თუ ვიმსჯელებთ, მათ დღესაც არ განელებიათ უნდობლობა კრემლის პოლიტიკისადმი.

როდენ პარადოქსულადაც უნდა ეღერდეს, ჰელსინკის თათბირი ღრმა კრიზისიდან გამოიყვანა და ფაქტობრივად დალუპვისაგან იხსნა ერთი მხრივ დასავლეთის მიერ იმის შეგნებამ, რომ საბოლოო აქტი, განსაკუთრებით ადამიანის უფლებების დაცვის VII პრინციპი და „მესამე კალათა“ საბჭოთა კავშირზე, მთელ სოციალისტურ თანამეგობრობაზე იდეოლოგიური და პროპაგანდისტული დაწოლის მეტად მოსახერხებელ ინსტრუმენტად წარმოადგენს. ამ დებულების დამადასტურებლად ამერიკის საკანონმდებლო ორგანოში შესაბამისი მექანიზმის შექმნაც იკმარებს. კერძოდ, 1976 წელს ჩამოყალიბდა თავისი სტატუსით უნიკალური კონგრესის გაერთიანებული კომისია ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ სენატისა და წარმომადგენელთა პალატის წევრები, სახელმწიფო დეპარტამენტის, თავდაცვისა და ვაჭრობის სამინისტროს წარმომადგენლები. კომისიის ერთ-ერთ მოხსენებაში მისი საქმიანობის მთავარი მიზანი ჩამოყალიბებული იყო. როგორც „საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მიერ საბოლოო აქტის დებულებების შესრულების შემოწმება“. ნიშანდობლივია, რომ 1985 წელს, რ. რეიგანის პრეზიდენტობის დროს კომისიის შემადგენლობა მნიშვნელოვნად გაფართოვდა, რაც მისი საქმიანობის დადებითი შეფასების ტოლფასი იყო.

მეორე მხრივ, თუ საბჭოთა მოტივებს განვიხილავთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსკოვისთვის ჩვეული გახდა ჰელსინკის პროცესის ფარგლებში თავდაცვით მდგომარეობაში ყოფნა და, როგორც ჩანს, კრემლს ვარაუდით, ამ პროცესის ჩაშლა შეტ ზიანს მოუტანდა მის პრესტიჟს, ვიდრე გაუთავებელი და უმრავლეს შემთხვევაში დასაბუთებული კრიტიკის მოსმენა. მით უმეტეს, რომ მასზე კონკრეტული რეაგირება სულაც არ იყო აუცილებელი.

ბერლინი. ბერლინში იწყება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ეგრეთ წოდებული „მეორე“ სახელმწიფო ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკების მეორე ტური. მან უნდა შეუქმნას იურიდიული წანამძღვრები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შეერთებას დასავლეთ გერმანიასთან მისი ძირითადი კანონის 23-ე მუხლის საფუძველზე. წინა დღით ამ დოკუმენტის კონცეფცია განიხილა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ.

როცა მილიონებს ვკარგავთ

მხოლოდ თავდადებული გარჯით თუ ავინაზღაურებთ

ოზურგეთი. მეჩაიეები სანაქებოდ შრომობენ. დღეში ათას ტონამდე ნედლეულს კრეფენ, მაგრამ ამ ბოლო დღეებში არ იგრძნობა რიტმული კონვეიერი — პლანტაცია — ტრანსპორტი — ფაბრიკა, რადგან საწვავი მასალების მწვავე ნაკლებობაა, რის გამოც, რა დასამალია, რომ ზშირად ორ დღეს ფერხდება მოკრეფილი ნედლეულის გამოტანა. საქმე იქამდეც კი მიდის, რომ ზშირად ფოთოლს ტრაქტორებით ეზიდებიან ჩაის ფაბრიკებში, რის გამოც ზიანდება ნედლეული. საერთოდ ჩაის მიღება-გადამუშავების საქმეს ესაჭიროება ყოველდღიურად 250 ტონამდე საწვავი, ხოლო ბენზინი 40-50 ტონა, რასაც დღიურად კი არა კვირაშიც ვერ ღებულობენ.

როგორც ნავთობბაზის დირექტორმა თენგიზ თალაკვაძემ გვითხრა, მდგომარეობა მეტად საგანგაშო იყო, რადგან რამდენიმე დღის განმავლობაში სამტრედიის რკინიგზის ხაზზე არსებული ბლოკადის გამო შეჩერდა ნავთობპროდუქტების შემოზიდვა ბაქოდან, მახაჩყალიდან, ვოლგოგრადი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგამოფენო დარბაზებში

სიამაყე და იმედები

ქართული ხელოვნების ძეგლთა მოგლა-პატრონობა დიდმნიშვნელოვანი ეროვნული საქმეა. ყოველი ჩვენგანის წმიდათაწმიდა მოვალეობაა წინაპართა ნამოღვაწეობის დაცვა, ზრუნვა იმაზე, რომ ძობვალ თაობებს შემოვუნახოთ ჩვენს დღემდე მოღწეული ეროვნული ხელოვნების ნიმუშები. აუცილებელია ქართული ხელოვნების საგანძური. მაგრამ ნუ დავიმშვიდებ ძეგლთა სიშრავლე, ხუროთმოძღვართა, ფერწერთა და ოქრომჭედელთა ნამოღვაწრის მასშტაბები, დროსა და ყამთა სიავეს, სტიქიასა და ადამიანთა უგულურობას თუ ბოროტებას ხელოვნების არაერთი ძეგლი ემსხვერპლა. დღესაც, ჩვენს თვალწინ გრძელდება ხუროთმოძღვრებისა და კედლის მხატვრობის დაზიანებისა და განადგურების პროცესი. მართალია, საქართველოში ფართოდ არის გაშლილი ძეგლთა დაცვის მრავალგვარი სამუშაოები, მაგრამ ქართულ მიწაზე შემონახულ არქიტექტურულ და ფერწერულ ძეგლთა რაოდენობა მათი დაცვის განსაკუთრებულ მასშტაბებსა და გაათკეცებულ ძალისხმევას მოითხოვს.

ეს პრობლემა კარგა ხანია აღელვებს ქართული კულტურის ჭეშმარიტ მოამაგეთ, რომელთა შორის უნდა დავასახელოთ დიდებული ქართველი მხატვარი, ღირსეული მამულიშვილი სერგო ქობულაძე. მან ქართული ხელოვნების ძეგლთა „დაცვის“ საკუთარი გზა აირჩია. მისი დიდი ცდითა და ზრუნვით 1973 წ. შეიქმნა ქართული ხელოვნების ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორია, რომლის მიზანია ხელოვნების ძეგლთა აღბეჭდვა ფირზე და მათი შენახვა შთამომავლობისთვის. ლაბორატორია დაარსდა ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოსთან, რაც თავისთავად მიანიშნებს მისი საქმიანობის სპეციფიკურ ხასიათს.

ეროვნული კულტურის პრობლემები დღეს საქართველოში დღის წესრიგში დგას. მაგრამ, რა დასამალია, ბოლო დროს გაცილებით მეტია ამ საკითხებზე სჯა-ბაასი, ვიდრე რეალური საქმე. ასეთ ვითარებაში, ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორია, სადაც ყოველგვარი ლამაზი ფრაზებისა და მჭევრმეტყველი საუბრების გარეშე მიმდინარეობს მუდმივი, დაუღალავი შუშაობა ქართული ძეგლების აღბეჭდვისათვის, ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენს. აქ კეთდება ეროვნული კულტურის საკეთილდღეო კეთილშობილი საქმე.

ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია საქმე ხსენებულ ლაბორატორიასთან, დარწმუნდებოდა, რომ აქ მუშაობენ ჭეშმარიტი პროფესიონალები, რომელთათვისაც დიადად მნიშვნელოვანია მათი შუშაობის შედეგი. ისინი თავის საქმეს ისეთი, კულტურული, სამშობლოთა აფასებენ, როგორითაც ალბათ უდგებოდნენ საკუთარ ნაღვაწს ძველი ქართველი ოსტატები. არაეთარი შოღავანი, არავითარი შემკუბუქება საქმისა, თუ კი ეს ოდნავ მაინც შელახავს ნამუშევრის ხარისხს.

არ შემიძლია არ გავიზიაროთ საკუთარი შთაბეჭდილება: ძეგლთა ფოტოფიქსაციის დროს ლაბორატორიის თანამშრომელნი მკაცრნი არიან საკუთარი თავისადმი და არც თუ ვინმეს ამატებენ მცირეოდენ ხარვეზს მუშაობაში. შედეგიც დაუყოვნებლივ იჩენს თავს. ლაბორატორიის მიერ დამზადებული ფოტომასალა, სლაიდები, მსოფლიო უმაღლესი სტანდარტების დონეზეა.

წლების მანძილზე წარმოებული მუშაობამ შესანიშნავი შედეგი გამოიღო. ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები, კედლის მხატვრობის ნიმუშები, ფერწერული და ჭედური ხატები, უძველესი საოქრომჭედლო ნაწარმოებები — რამდენი ძეგლია უკვე დაბეჭდილი ფირზე და „დაცული“ შთამომავლობისათვის. ლაბორატორიაში უკვე დაგროვილია უდიდესი მასალა, რომელიც სპეციალისტთა საერთო აღტაცებას იწვევს. მრავალგზის თქმულა, რომ აქ დამზადებული ფოტომასალა ნებისმიერ უცხოურ ფირმას გაუწევს ღირსეულ კონკურენციას. ეს არის ნამდვილ შემოქმედთა ნამუშევარი, რომელთათვისაც ქართული ხელოვნების ყოველი ნიმუში განსაკუთრებული ზრუნვისა და ყურადღების ღირსია.

ამაში რომ დარწმუნდეთ, საკმარისია ეწვიოთ თბილისის მხატვრის სახლში გამართულ ფოტოგამოფენას — „ქართული კულტურის ძეგლები“. ეს არის მხოლოდ მცირედი ნაწილი ლაბორატორიის მიერ გაწეული მუშაობისა, მაგრამ ეს „მცირედიც“ საოცრად შთამბეჭდავია. ამ პატარა გამოფენაზე ნათლად წარმოჩნდა ლაბორატორიის მუშაობის ფართო დიაპაზონი — მინიატურული საოქრომჭედლო ნაწარმოებებიდან — მონუმენტურ არქიტექტურულ ანსამბლებამდე. ოსტატურად შერჩეული ხედვის წერტილი, ღრმად გააზრებული განათება, ყოველი ნაწარმოების სპეციფიკის გათვალისწინება, მისი მხატვრული არსის გახსნა — ყოველივე ეს საშუალებას აძლევთ აღბეჭდონ ხელოვნების ნაწარმოების განუმეორებელი სახე (იხ. გარეჯის სატრაპეზოს შთამბეჭდავი სურათი, შუქჩრდილის საოცარი კონტრასტით გაცოცხლებული, ყაჩაღანის ჯვრის ანგელოზთა ფიგურების უცნაური რელიეფური ნახატი, უბისის ხატის დახვეწილი ფერადოვნება და სხვ.).

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს გამოფენა მხოლოდ ქართული ხელოვნების მოყვარულთა საამოდ როდი დარჩება. იგი არ უნდა განვიხილოთ, როგორც საბაბი ეროვნული სიამაყის გრძნობის გაღვიძებისა — ეს რა დიდებული განძის პატრონნი ვყოფილვართო, გამოფენა კიდევ ერთხელ და ძალზე მეტყველად გვახსენებს, რომ ამ განძს მოვლა-პატრონობა და გამოყენება უნდა.

ვიდრე ამ გამოფენის შთაბეჭდილებით აღძრულ ჩვენი კულტურის საჭირბოროტო საკითხებს შევეხებოდე, მინდა გავაცნოთ ის კოლექტივი, რომელიც წლების მანძილზე ჩამოყალიბდა ლაბორატორიაში (დირექტორი ლ. წილოსანი, ტექნიკური ხელმძღვანელი ო. ქობალიანი). ეს არის ნამდვილ თანამზრახველთა ერთიანი, შეკრული კოლექტივი, რომელსაც აერთიანებს საქმისადმი უაღრესად კეთილსინდისიერი, სერიოზული დამოკიდებულება. ეს შესაძლებელი გახდა ლაბორატორიის ხელმძღვანელთა პირადი მაგალითის წყალობით, პროფესიონალთა მომზადებისათვის მათი ნამდვილი და არა მოჩვენებითი ზრუნვის შედეგად. ლაბორატორიაში არსებობს მუდმივი გადამღები ჯგუფი, რომელშიც მონაწილეობენ ხალმე მაღალი კვალიფიკაციის მოწვეული სპეციალისტებიც (გ. გერსამია, გ. ხაბაშურიძე და სხვ.) განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადებას. აქ უკვე მომზადდა და დაოსტატდა რამდენიმე სპეციალისტი (ს. დემეტრაშვილი, ა. სიღარაძე), რომელთაც მომავალში უნდა ატვირთონ ამ საშვილიშვილო საქმის გაგრძელება. ლაბორატორიამ თავი მოუყარა ნამდვილ ენთუზიასტებს, რომელთაც ესმით თავისი საქმის მნიშვნელობა ქართული კულტურისათვის. აქ მუშაობენ ლაბორატორიული დამუშავების კვალიფიკაციური სპეციალისტები (მ. ჯანელიძე, ნ. ნარსია).

განსაკუთრებით მინდა გამოვყო ლაბორატორიის არქივის მუშაობა (მ. პიტაშვილი. მ. ფანცხავა). არქივში უკვე ძალზე დიდი მოცულობის მასალაა თავმოყრილი, მაგრამ მისი გამოყენება, კარგად გააზრებული სისტემის, წყალობით, მეტად ადვილია. მასალას თან ახლავს მაღალსამეცნიერო დონეზე შესრულებული ანოტაციები.

მე საგანგებოდ შევჩერდი ლაბორატორიის ამ კოლექტივზე, რადგან ჩემი ღრმა რწმენით, საჭიროა ფართო საზოგადოებამ იცოდეს ეროვნული კულტურის ამ მნიშვნელოვანი დაწესებულების შესახებ, რომლის მუშაობა აქამდე მხოლოდ სპეციალისტების ვიწრო წრისათვის იყო ცნობილი, ამიერიდან კი, ამ გამოფენის წყალობით თვალნათლივ გამოჩნდა მისი საქმიანობის ღირსებები და მნიშვნელობა.

გამოფენამ, დიდი ესთეტიკური სიამოვნების მონიჭებასთან ერთად, წამოჭრა საკმაოდ ბევრი მტკივნეული საკითხი. პირველი ის იყო, რომ ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორიის პოტენციალი ნაკლებად არის რეალიზებული. ამას უმრავი ობიექტური მიზეზი აქვს, რომელთა შორის ალბათ ყველაზე არსებითია შენობის სიმცირე და სამუშაოსათვის აუცილებელი მასალის დეფიციტები. ეროვნული კულტურის მესვეურებმა უნდა გამოძებნონ საშუალება, რათა ლაბორატორიის შესაძლებლობანი სრულად იყოს გამოყენებული. დადგა დრო, რომ ისინი კი არ დარბოდნენ კვირებისა და თვეების მანძილზე დეფიციტური ფირის მოსაპოვებლად, არამედ მშვიდად მუშაობდნენ ძველი ქართული ხელოვნების ისეთი ძეგლების ფირზე აღსაბეჭდად, რომლებსაც ახლო მომავალში განადგურების საფრთხე ემუქრებათ (გარეჯის ფერწერული ძეგლები, მესხეთ-ჯავახეთისა და სვანეთის ძეგლები და ბევრი სხვა).

ლაბორატორიის მიერ დამზადებული მასალების მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოქვეყნება, ეროვნული კულტურისადმი დღევანდელი გამძაფრებული ინტერესის პირობებში, მსოფლიოში ნამდვილ სენსაციას მოიმადენს, მაგრამ სენსაცია არ შედგება, რადგან ვისაც უნახავს, თუ რა ემართება ჩვენს გამომცემლობებში ამ ლაბორატორიაში დამზადებული უმაღლესი ხარისხის ფერად სლაიდებს, სირცხვილი საგან თვალს ვერ გაუსწორებს ამ სლაიდების ავტორებს. უნდა გავიგოთ უცნაური დამთხვევის ამბავი: ფოტოგამოფენიდან აღტაცებულები ვბრუნდებოდით და შემთხვევით იქვე, მხატვრის სახლის ჯიხურში ვნახეთ წიგნი, რომელშიც ლაბორატორიის მიერ დამზადებული ფერადი სლაიდები იყო გამოყენებული. ეს გახლავთ საუკეთესო ილუსტრაცია იმისა, თუ როგორ ვახერხებთ შესანიშნავი საქმის უიმედოდ წახდენას. გამოფენით გამოწვეული პატარა ზეიმი ჩვენთვის იქვე, მხატვრის სახლის ვესტიბიულშივე დამთავრდა! რაც მთავარია, ეს ხდება მაშინ, როდესაც აქ დამზადებული ფოტომასალა ევროპულ ვამომცემლობებში ბრწყინვალე ანაბეჭდებად იქცევა. ნუთუ არ დადგა დრო, რომ პატრიოტული ლაპარაკიდან და დადგენილებებიდან პატრიოტულ საქმეებზე გადავიდეთ და მსოფლიოს დავანახოთ (ამ ლაბორატორიის დახმარებით) ქართული ხელოვნების მთელი სიდიადე. ამისათვის კი სულ ცოტა რამაა საჭირო — სათანადო სახსრები ეროვნული კულტურის ამ სფეროს დასაფინანსებლად, რათა მან მიიღოს მსოფლიოს საერთო სტანდარტების დონის მასალა და აპარატურა. ნუთუ საქართველოში არ გამოიძებნება საშუალებები ამ ეროვნული პრობლემის გადასაწყვეტად?

ვათვალიერებდი ამ გამოფენას და ვოცნებობდი — ქალაქის ცენტრში გამოინახოს დარბაზი, სადაც მუდმივად იქნება გამოფენილი ქართული ხელოვნების ძეგლთა ფერადი ფოტოები და სლაიდები, რომლებიც თბილისის ყველა მკვიდრსა და სტუმარს თვალწინ გადაუშლის ამ გასაოცარ სამყაროს, ან კიდევ ქართული ხელოვნების დიდი ფოტოგამოფენა ტრიუმფით მოგზაურობს მსოფლიოს ქალაქებში (გამოფენა ქართული ხუროთმოძღვრებისა, საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხელოვნების ძეგლებისა). ვოცნებობდი, რომ საქართველოს ყველა ქალაქში, ყველა ძეგლზე იყიდებოდეს მაღალპოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი გზამკვლევები და ფოგნები ამ ძეგლთა შესახებ (როგორც ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში), ფერადი სლაიდებისა და ღია ბარათების კომპლექტები (მხოლოდ მაღალხარისხოვანი). მოდით ყველამ, ვისაც კი ოდნავ მაინც შესტკივა გული ქართული კულტურისადმი, გამოვსახოთ საშუალება იმისათვის, რომ ეს საკმაოდ მოკრძალებული ოცნებები სინამდვილედ ვაქციოთ. ქველმოქმედება და გულმოწყალება მხოლოდ ადამიანებს როდი უნდა, ქართული კულტურა შველას ითხოვს და ეს ყველამ უნდა შეიგრძნოს.

აი, ასეთია ეს გამოფენა, რომელიც სიამაყესთან ერთად უამრავ სურვილსა და იმედს აღძრავს. ჩვენ ხელთ ბევრი რამ არის, ოღონდ უნდა გულთან ახლოს მივიტანოთ და მოვინდომოთ მშობლიური კულტურის დახმარება.

მივულოცოთ გამოფენის ავტორებს მათი შრომის წარმატებული წარმოჩენა და ვუსურვოთ ასრულებოდეთ ის სურვილები, რომელთა განხორციელება დიდ სარგებლობას მოუტანს ქართულ კულტურას.

კიტი მაჩაბელი.

„კომუნისტის“ ფოტოკონკურსი

ატენის სიონი. „...ქრისტემ ბავშვობა აქ გაატარა და ღვთიშობელი უგვიდა ეზოს“.
ჯურაბ დათუაშვილის ფოტო.

შიო მღვიმელის პრემიის ლაურეატები

გვესაუბრება საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, შიო მღვიმელის პრემიის მიმნიჭებელი ჟიურის თავმჯდომარე ხუტა ბერულავა

დიდებული საბავშვო პოეტის შიო მღვიმელის სახელობის პრემია ყოველწლიურად ენიჭებათ მწერლებს, რომლებმაც თვალსაჩინო ღვაწლი დასდეს ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარებას.

ახლახან შიო მღვიმელის პრემიის ლაურეატთა სიას მიემატა სამი ცნობილი მწერლის სახელი.

კარლო კობერიძე, შესანიშნავი პროზაიკოსი და პუბლიცისტი, არასოდეს ივიწყებს თავის ნორჩ და ახალგაზრდა მკითხველებს. მათ განსაკუთრებით ხიბლავთ მწერლის ქმნილებათა ხატოვანი ენა. გვწამს, რომ კარლო კობერიძე, ჩვენი ლიტერატურული ახალგაზრდობის გულისხმიერი ქომაგი, საქართველოს მწერალთა კავშირის ალმანახ „ალაზნის“ მთავარი რედაქტორი, თავის ალმანახის ფურცლებზე არაერთი უცნობი ავტორის სახელს გამოაბრწყინებს.

ნოდარ შამანაძე, პოეტი, პროზაიკოსი, მეცნიერი, საქართველოს მწერალთა კავშირის საბავშვო ლიტერატურის სექციის ბიუროს მთავარობს, ახლახან მას 60 წელი შეუსრულდა. ვსარგებლობთ შემთხვევით და იუბილესა და საპატიო ჯილდოს ერთად ვუღოცავთ საყვარელ კოლეგას.

მზია ჩხეტიანი ნიჭიერ ქართველ პოეტ ქალთა რიგებს ამშვენებს. დედასაქართველოსადმი მიძღვნილი მისი ხალასი ლექსები ძალიან უყვართ ჩვენს პატარებს, ნაყოფიერი და დასაფასებელია მისი მოღვაწეობა საბავშვო ტელე და რადიოგადაცემათა რედაქციებშიც. მადლობის გრძნობით ვიხსენებთ საქართველოს მწერალთა კავშირის საბავშვო ლიტერატურის სექციის ბიუროს თავმჯდომარედ მზია ჩხეტიანის ენერგიულ მუშაობას.

 მრავალ სიხარულსა და დიდ შემოქმედებითს ნარმატებებს ვუსურვებთ ძვირფას მეგობრებს, შიო მღვიმელის პრემიის ახალ ლაურეატებს!

(საქინფორმი)

ივანე გვენცაძე

83 წლისა გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის გმირი, 1939 წლიდან სკკპ წევრი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი ივანე ნიკოლოზის ძე **გვენცაძე**.

ი. ნ. გვენცაძე დაიბადა ამბროლაურის რაიონის სოფელ ბარეულში. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. 1942 წლის მაისიდან საბჭოთა არმიის რიგებშია. იბრძოდა სტალინგრადის, დონის, სტეპის, უკრაინის მეორე ფრონტების შემადგენლობაში. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის დაჯილდოებული იყო ლენინის, პირველი ხარისხის სამამულო ომის წოდების ორდენებითა და მედლებით, ოგრეთვე ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიისა და უნგრეთის სახელმწიფო მედლებით.

მდინარე დნეპრის ფორსირებისათვის გვარდიის ლეიტენანტ ივანე ნიკოლოზის ძე გვენცაძეს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის სამატიო წოდება.

ომისშემდგომ პერიოდში მუშაობდა საქქვანახშირის სისტემაში მთავარ ენერგეტიკოსად. აქტიურად მონაწილეობდა საზოგადო საქმიანობაში — იყო თბილისის კიროვის რაიონის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე, ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს წევრი. სხვადასხვა დროს არჩეული იყო რაიონული და საქალაქო საბჭოების დეპუტატად.

შესანიშნავი ადამიანის, სპეციალისტისა და მამულიშვილის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი კოლეგების, მეგობრებისა და ახლობლების გულში.

საქართველოს ომისა და შრომის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭო.

ცნობისათვის

საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტის მე-11 მუხლს (გაზეთ „კომუნისტის“ 1 აგვისტოს ნომრის მე-2 გვერდი) სიტყვების — „განყოფილებათა და სამმართველოთა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები“ შემდეგ უნდა დაემატოს: „მართლმსაჯულების ორგანოებში არჩეული პირები, საქართველოს სსრ, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრები და სახელმწიფო არბიტრები, საქართველოს სსრ პროკურორი, მისი ქვემდგომი პროკურორები და მათი მოადგილეები“,... შემდეგ, როგორც ტექსტშია.

რედაქტორი
მინდია უგრეხელიძე.

ფრთხილად, ვიდრე გვიან არ არის!

ქოლერამ თავი შეგვახსენა

ივლისში ქალაქ სტავროპოლში კემპინგ „როდნიკში“ აღირიცხა ქოლერით დაავადების 45 შემთხვევა, რაც დაკავშირებულია სასმელი წყლის საკანალიზაციო წყლებით დაბინძურებასთან.

ივლისში ამ კემპინგში ისვენებდნენ საქართველოს მოქალაქეებიც, 20 კაცი — 6 თბილისელი, 5 ბათუმელი, 2 ცხინვალელი, 5 რუსთაველი, 1 ქუთაისელი და 1 წყალტუბოელი. შესაბამის რეგიონებს გადაეცათ შეტყობინება მათ მოსაძებნად და ქოლერაზე გამოსაკვლევად. სადღეისოდ ნაპოვნია 12 და ქოლერაზე გამოკვლეულია უარყოფითი შედეგით 8 მოქალაქე. ორი მისამართის დაზუსტება მიმდინარეობს. 6 ჯერჯერობით არ დაბრუნებულა. გამოკვლევა გრძელდება.

ამასთან ერთად 30 ივლისს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მთავარ სახელმწიფო სანიტარიულ ექიმებს დაევალათ გაძლიერონ სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობა მათ სამოქმედო ტერიტორიებზე განლაგებულ ობიექტებში სანიტარიულ-ჰიგიენური წესების დაცვისადმი.

მოსახლეობას მოვუწოდებთ დაიცვას პირადი ჰიგიენის და საზოგადოებრივი სანიტარიული წესები. ნუ შეჭამენ გაურეცხავ ხილს, ბოსტნეულს, მწვანილს, ჭამის წინ ხელები დაიბანონ, კუჭნაწლავის აშლილობის დროს ნუ ეცდებიან თვითმკურნალობას, დაზმარებისათვის მიმართონ ექიმს.

იმ პირებმა, რომლებიც სტავროპოლში არიან, ან კონტაქტი ჰქონდათ ქოლერით დაავადებულებთან, აუცილებლად მიაკითხონ სამედიცინო დაწესებულებას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რათა დროულად გამოიკვლიონ.

შიდსი რეალური საფრთხეა

შიდსი მსოფლიო პრობლემაა. ყოველდღიურად მძიმდება ეპიდსიტუაცია. ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, შიდსის შემთხვევების რიცხვმა 266 000-ს გადააჭარბა. აუდობენ, რომ დაავადებულ რაოდენობა გაცილებით მეტია. საბჭოთა კავშირში დღეისათვის შიდსის ვირუსით ინფიცირებული 500-ზე მეტი პირია გამოვლენილი.

ყურადსაღები მდგომარეობაა ჩვენს რესპუბლიკაშიც, სადაც უკვე აღირიცხა დაავადების და ვირუსმატარებლობის ორი შემთხვევა. მიმდინარე წლის უკანასკნელ თვეებში ერთდროულად გამოვლინდა სამი ინფიცირებული, მათგან ერთი გარდაიცვალა. სამწუხაროდ, შემთხვევების გეოგრაფია თანდათანობით იზრდება; სოხუმი, თბილისი, ზუგდიდი — ეს ის ქალაქებია, სადაც გამოვლენილი არიან შიდსის ვირუსით ინფიცირებული პირები, სავალალო ფაქტია, რომ გამოვლენილთა უმრავლესობა ახალგაზრდები არიან, მათგან ყველაზე უმცროსი 26 წლისაა.

დაავადების თითოეული შემთხვევის შესწავლა ნათლად გვიჩვენებს, რომ სამედიცინო და ზნეობრივი საკითხები გადაჯაჭვულია.

შიდსი რეალური პრობლემაა ჩვენს რესპუბლიკაში, მან უკვე შეიწირა ორი სიცოცხლე. ვერც პროგნოზია დამაიმედებელი. დღევანდელ რთულ სოციალურ პოლიტიკურ ა რებაში უმთავრესია ზნეობრივი და მორალური სიწმინდის დაცვა და მისი შენარჩუნება. ეს შიდსის პროფილაქტიკის ერთ-ერთი ყველაზე საიმედო გარანტიაა.

ირაკლი ფალავა.

რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო სანიტარიული ექიმი, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე.

საგამოფენო დარბაზებში

ქართველოლოგიური გაკვეთილები

ქართული ხელოვნების ძეგლთა მოგლა-პატრონობა დიდმნიშვნელოვანი ეროვნული საქმეა. ყოველი ჩვენგანის წმიდათაწმიდა მოვალეობაა წინაპართა ნამოღვაწეობის დაცვა, ზრუნვა იმაზე, რომ ძობვალ თაობებს შემოვუნახოთ ჩვენს დღემდე მოღწეული ეროვნული ხელოვნების ნიმუშები. აუცილებელია ქართული ხელოვნების საგანძური. მაგრამ ნუ დავიმშვიდებ ძეგლთა სიშრავლე, ხუროთმოძღვართა, ფერწერთა და ოქრომჭედელთა ნამოღვაწრის მასშტაბები, დროსა და ყამთა სიავეს, სტიქიასა და ადამიანთა უგულურობას თუ ბოროტებას ხელოვნების არაერთი ძეგლი ემსხვერპლა. დღესაც, ჩვენს თვალწინ გრძელდება ხუროთმოძღვრებისა და კედლის მხატვრობის დაზიანებისა და განადგურების პროცესი. მართალია, საქართველოში ფართოდ არის გაშლილი ძეგლთა დაცვის მრავალგვარი სამუშაოები, მაგრამ ქართულ მიწაზე შემონახულ არქიტექტურულ და ფერწერულ ძეგლთა რაოდენობა მათი დაცვის განსაკუთრებულ მასშტაბებსა და გაათკეცებულ ძალისხმევას მოითხოვს.

ეს პრობლემა კარგა ხანია აღელვებს ქართული კულტურის ჭეშმარიტ მოამაგეთ, რომელთა შორის უნდა დავასახელოთ დიდებული ქართველი მხატვარი, ღირსეული მამულიშვილი სერგო ქობულაძე. მან ქართული ხელოვნების ძეგლთა „დაცვის“ საკუთარი გზა აირჩია. მისი დიდი ცდითა და ზრუნვით 1973 წ. შეიქმნა ქართული ხელოვნების ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორია, რომლის მიზანია ხელოვნების ძეგლთა აღბეჭდვა ფირზე და მათი შენახვა შთამომავლობისთვის. ლაბორატორია დაარსდა ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოსთან, რაც თავისთავად მიანიშნებს მისი საქმიანობის სპეციფიკურ ხასიათს.

ეროვნული კულტურის პრობლემები დღეს საქართველოში დღის წესრიგში დგას. მაგრამ, რა დასამალია, ბოლო დროს გაცილებით მეტია ამ საკითხებზე სჯა-ბაასი, ვიდრე რეალური საქმე. ასეთ ვითარებაში, ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორია, სადაც ყოველგვარი ლამაზი ფრაზებისა და მჭევრმეტყველი საუბრების გარეშე მიმდინარეობს მუდმივი, დაუღალავი შუშაობა ქართული ძეგლების აღბეჭდვისათვის, ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენს. აქ კეთდება ეროვნული კულტურის საკეთილდღეო კეთილშობილი საქმე.

ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია საქმე ხსენებულ ლაბორატორიასთან, დარწმუნდებოდა, რომ აქ მუშაობენ ჭეშმარიტი პროფესიონალები, რომელთათვისაც დიადად მნიშვნელოვანია მათი შუშაობის შედეგი. ისინი თავის საქმეს ისეთი, კულტურული, სამშობლოთა აფასებენ, როგორითაც ალბათ უდგებოდნენ საკუთარ ნაღვაწს ძველი ქართველი ოსტატები. არაეთარი შოღავანი, არავითარი შემკუბუქება საქმისა, თუ კი ეს ოდნავ მაინც შელახავს ნამუშევრის ხარისხს.

მომავალი ჩვენია

პირველად როდის დაინტერესდნენ უცხოელები საქართველოთი, ზუსტად არავინ იცის, მაგრამ უხსოვარი დროიდან რომ მოდის ეს ინტერესი, ამას მოწმობს ოქროს საწმისის შესანიშნავი მითიც.

შუასაუკუნეების ევროპულ წყაროებშიც არაერთგზის იხსენიება საქართველო.

ქართველოლოგიას კი, როგორც მეცნიერებას, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ეკუთვნოდა საოუძველი ევროპაში.

მეცნიერებას თავისი განვითარების ურყევი გზა აქვს. სამწუხაროა, რომ პოლიტიკური მოვლენები ხშირად კვალს აჩნევს, ზოგჯერ აფერხებს კიდეც მის განვითარებას.

ახე მოხდა მეოცე საუკუნის ოციან წლებშიც. სახელმწიფოებრიობადაკარგულ საქართველოს, თუმცა, მთლად არ ჩამოშორებიან მისი ენით, კულტურით, ისტორიით დაინტერესებული უცხოელები, მაგრამ სურვილი უფრო ახლო გაცნობისა, ურთიერთთანამშრომლობისა, დიქტატურის ხანაში ნაკლები იყო.

დღეს ინტერესი ჩვენი სამშობლოსადმი ორმაგად გაიზარდა. აინტერესებთ არა მარტო ქართული ენა კულტურა, არამედ საზოგადოდ საქართველო, მისი თანამედროვეობა, ქართველოლოგია კი აღორძინების გზას დაადგა. ჩვენი მხრივ, ჩვენც მეტი ყურადღება გამოვიჩინეთ უცხოელი ქართველოლოგი მეცნიერებისადმი.

დღეს ჩვენი საზოგადოების ფართო წრეების ყურადღებას იპყრობს ქართველოლოგიური საზაფხულო სკოლა-სემინარი, რომელიც 1 ივლისს დაიწყო და 15 აგვისტომდე გასტანს. ეს არის იუნესკოს საერთაშორისო ორგანიზაციასთან შეთანხმებული თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთობლივი ღონისძიება.

რამდენიმე თვის წინ შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის თავმჯდომარეა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი ნოდარ ამაღლობელი, მოადგილე — პროექტორი სამეცნიერო მუშაობის დარგში, პროფესორი ელგუჯა ხინთიბიძე.

ქართველოლოგიური სკოლა-სემინარის მუშაობა დაგეგმილია ორ წელიწადში ერთხელ. რადგან წელს პირველი წელია, მისი მსმენელებისათვის საქართველოს მთავრობამ გამოყო სპეციალური ფონდი. შემდეგ წლებში სემინარი ფასიანი იქნება.

მსმენელების პროგრამა საკმაოდ დატვირთულია. ქართული ენის ინტენსიური სწავლება ჯგუფებში მიმდინარეობს ყოველდღიურად უნივერსიტეტის ლაბორატორიაში. ასევე, ყოველდღიურად ეწყობა ინდივიდუალური მეცადინეობა მასწავლებლებთან. ქართული ენის სწავლებას კურირებას უწევს უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრა (კათედრის გამგე პროფესორი ელენე ბაბუნაშვილი). ვინაიდან ეს არის, არა მარტო ქართული ენის კურსები, არამედ ქართველოლოგიური სკოლა, მსმენელებს უკითხავენ ლექციებს საქართველოს ისტორიაში, კულტურის ისტორიაში, ქართული ენის სტრუქტურაზე, ფილოსოფიაში, ქართულ ლიტერატურაში, მითოლოგიაში, ხელოვნებაში, ქართულ ხალხურ მუსიკაზე, არქეოლოგიაზე, ქართულ-ევროპულ კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობებზე, უცხო ენებზე.

ლექციებს უძღვებიან ქართველი მეცნიერები: ალექსანდრე ალექსიძე, გასტონ ბუაჩიძე, ვახტანგ ბერიძე, რისმაგ გორდეზიანი, თამაზ გამყრელიძე, გურამ თევზაძე, ზურაბ კიკნაძე, მარიამ ლორთქიფანიძე, ოთარ ლორთქიფანიძე, სოსო ყორდანია, გურამ რამიშვილი, აპოლონ სილაგაძე, მზიქალა შანიძე, ელგუჯა ხინთიბიძე.

სემინარებით დატვირთული ლექციების შემდეგ მსმენელები შაბათ-კვირას ქალაქგარეთ გაჰყავთ ხოლმე. თითქმის მთელი საქართველო მოიარეს: მოინახულეს მცხეთა და მისი შემოგარენი, კახეთისა და სვანეთის ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ ყაზბეგში, ვარძიაში, ქუთაისში... მსმენელები დაჰყავთ ქართველ ხელოვანთა სახელოსნოებში. უკვე ეხტუმრნენ ლადო გუდიაშვილის, ელენე ახვლედიანის, დავით კაკაბაძის სახლ-მუზეუმებს, ზურაბ წერეთლის სახელოსნოს.

ქართველოლოგიური საზაფხულო სკოლა-სემინარის მსმენელები ჩამოხული არიან აშშ-დან, ინგლისიდან, გერმანიიდან, ჰოლანდიიდან, ნორვეგიიდან, საფრანგეთიდან, შვეიცარიიდან, კანადიდან, ირლანდიიდან, იაპონიიდან, იუგოსლავიიდან, ბულგარეთიდან.

სულ სამოცამდე მსმენელია ჩამოხული. მსმენელთა უმეტესობა ახალგაზრდები არიან. ზოგიერთი კი ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი ქართველოლოგიც იღებს მონაწილეობას სკოლა-სემინარში. მათ შორის არიან:

ქალბატონი ქეთრინ ვივიენი — ინგლისელი ქართველოლოგი, „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ ენაზე მთარგმნელი, ამჟამად მის მიერ თარგმნილი „ქართლის ცხოვრების“ ნაწილი იბეჭდება ევროპის ერთ-ერთ დიდ გამომცემლობაში. მან ჩამოიტანა ინგლისური ტექსტის გამზადებული ანაბეჭდი, რომელიც უახლოეს ხანში გამოიცემა.

ბატონი დევიდ ბრაუნდი — ინგლისელი არქეოლოგი, დოქტორი, მას გამოსაცემად აქვს გამზადებული წიგნი „ძველი საქართველოს ისტორია“, რომელიც მოიცავს პერიოდს ჩვ. წ. აღრიცხვამდე VIII საუკუნიდან ვახტანგ გორგასლის მეფობის ხანამდე. წიგნის გამოცემა 1991 წელს არის დაგეგმილი ოქსფორდში.

ქალბატონი გოლდი ბლანკოფი — ბელგიელი მეცნიერი, ბელგია-საქართველოს ასოციაციის თავმჯდომარე, ბრიუსელის უნივერსიტეტის პროფესორი, მთარგმნელი.

ხემინარის მსმენელები არიან, აგრეთვე, ფრანკ კეინი და ერი